# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი 1998 №196 (731) ფასი 50 თეთრი




გუშინ რუსთავში: „გორდა“ — „დინამო“.
დავით მუჯირი მიშა საზვაძესთან და ნორმენ ტარტარაშვილთან (ბურთით) ვერას გახდა

საქართველოს ჩემპიონატი

11 ტური

28 ოქტომბერი, ოთხშაბათი

III ტურის გამოტოვებული მატჩები

| | |
|---|---|
| ოდიში | 1 |
| ტორპედო | 3 |
| გორდა | 0 |
| დინამო | 0 |

XI ტურის გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| გურია | 4 |
| დილა | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 8 | 2 | 1 | 29:12 | 26 |
| დინამო | 10 | 7 | 3 | 0 | 35:7 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | 21 |
| დილა | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | 20 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | 20 |
| ბათუმი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | 17 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 |
| ოდიში | 11 | 4 | 1 | 6 | 8:16 | 13 |
| არსენალი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | 12 |
| მერანი | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | 12 |
| გურია | 11 | 3 | 1 | 7 | 13:29 | 10 |
| თსუ | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |
| გორდა | 11 | 1 | 6 | 4 | 6:8 | 9 |
| სიონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | 8 |
| სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | 7 |

## ტორპედო ისევ ლიდერია

გუშინ მესამე ტურის ორი გამოტოვებული და მეთერთმეტის ერთი გადადებული შეხვედრა გაიმართა.

რუსთავს, ზუგდიდსა და ლანჩხუთს ჩემპიონატის ლიდერები „დინამო“, „ტორპედო“ და „დილა“ სტუმრობდნენ.

„გორდა“ წამყვანი ფეხბურთელების დემარშით შესუსტებულ ჩემპიონს გაუმკლავდა — თუ ვერ გაუტანა, არც გაატანინა და ასე უგოლოდ დაუზავდა ფავორიტს.

„ოდიშმა“ წინა ტურში გაჯიქებული მოთამაშენი „ტორპედოსთან“ სამასპინძლოდ კი დაიყაბულა, მაგრამ ქუთაისელები 2:0 დაწინაურდნენ და სხვაობის პენალტით შემცირების მიუხედავად ქულების დაკარგვას მეკარე გრიგოლ ჭანტურიას საიმედოობით გადაურჩნენ. ბოლო წუთებზე მესამედაც გაიტანეს.

ლიდერთაგან მესამეს — „დილას“ კი, მოგებას ვინ ჩივის, ლანჩხუთიდან ქულის შინ წაღებაც სანატრელი გაუხდა. არადა, ერთხანს გორელებიც 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ ალექსანდრე კაიდარაშვილის დუბლს მასპინძლებმა დავით მახარაძემ და ალექსანდრე განევმაც წყვილ-წყვილი გოლით უპასუხეს.

ქუთაისელებმა მდევარ-სადევარის ამ ქულათკარგვით იხეირეს და ცხრილს კვლავინდებურად სათავეში მოექცნენ. ასე რომ, შაბათს, 31 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ მოწინავის რანგში ესტუმრებიან.



## ყიფიანმა მეჰელენი ჩაიბარა

გუშინ სააგენტო „როიტერმა“ დაადასტურა ბოლოხანს გავრცელებული ცნობა დავით ყიფიანის ბელგიურ „მეჰელენში“ გადასვლის თაობაზე:

„წარსულში ცნობილი დიდი ქართველი ფეხბურთელი დავით ყიფიანი ოთხშაბათს ბელგიის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის კლუბ „მეჰელენის“ მწვრთნელად დაინიშნა.

ყიფიანი, რომელიც იაროსლავლის „შინიკს“ ზაფხულში ჩაუდგა სათავეში, ახალ კლუბს ერთი კვირის შემდეგ შეუერთდება, მაშინ, როცა რუსეთის ჩემპიონატი დასრულდება.

მოთამაშე ყიფიანს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოუგია. 70-იან 80-იან წლებში კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში არაერთხელ უთამაშია.“



„ვითას“ გამარჯვებაში თავისი წილი გიორგი გაგნიძემაც დაიდო

საქართველოს ჩემპიონატი

6 ტური

28 ოქტომბერი. ოთხშაბათი

კოლხა 80:104 შევარდენი

ვითა 90:85 მაკაბი

29 ოქტომბერი. ხუთშაბათი

სდასუ — დინამო

თსუ — აზოტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 4 | 4 | 0 | 372:307 | 8 |
| თსუ | 5 | 3 | 2 | 449:415 | 8 |
| ვითა | 5 | 4 | 1 | 370:357 | 8 |
| შევარდენი | 5 | 3 | 2 | 349:339 | 8 |
| კოლხა | 6 | 1 | 5 | 473:570 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 333:339 | 6 |
| მაკაბი | 6 | 0 | 6 | 483:535 | 6 |
| სდასუ | 4 | 0 | 4 | 309:358 | 4 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მეათე გვერდი

## ფრანგულ არმიას ვერ გავუმკლავდით

გუშინ ფრანგულ ტურნეში მყოფ ქართველ მორაგბეებს რომ შევეხმიანეთ, „პირდაპირი ჩართვა“ გამოგვივიდა: წავაგეთ, წავაგეთო, პასუხად ესღა გავიგეთ, მერე კი კავშირმა დაგვალალატა და ანგარიში დაუზუსტებელი დაგვრჩა.

ასე რომ, ქართველი ბორჯღალოსნები ფრანგული ტურნეს მეოთხე მატჩში საფრანგეთის არმიის სარაგბო ნაკრებ ჟუანვილის ბატალიონთან დამარცხდნენ.

რუსთავი
28 ოქტომბერი
14 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 დინამო

**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი (ჩოხელი 85), ზირაქაძე, გაბელაია, ჩუხუა, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ქოიავა, დ. მენთეშაშვილი, შ. კაპანაძე, კოპალიანი
**დინამო:** გვარამაძე, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, ი. მახარაძე (გ. მიქაძე 46), ა. სახვაძე, გუჩუა (კვარაცხელია 67), ლ. მიქაძე, დ. მუჯირი, აშვეთია, გ. შენგელია (რუხაძე 84)
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე
**გაფრთხილება:** ჯელაძე (76)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); შ. ბერიძე (ასპინძა)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

# მოწყენილი ჩემპიონ(ატ)ი

**ხვიჩა სანიკიძე რუსთავიდან**

საქართველოს ჩემპიონატი ულიმლამო და ნირწამხდარი რომაა, არახალია, მაგრამ ჩვენს მარად ჩემპიონსაც დაჰკარგვია ყოველგვარი საფეხბურთო ხალისი და ეს ბოლო ტურის მატჩებმა წარმოაჩინა. მცხეთაში „ლოკომოტივთან" და გუშინ რუსთავში ჩატარებულმა შეხვედრებმა ნათლად დაგვანახა „დინამოს" დასნეულება. ამ სენს პირობითად მოწყენილობა დავარქვათ და სხვა შეფასებებისგან თავი შევიკავოთ, ვიდრე ყველაფერში ბოლომდე გავერკვეოდეთ. აშკარაა, რომ ჩემპიონის რამდენიმე ფეხბურთელს გული აუცრუებია ეროვნულ ჩემპიონატზე და უცხო ქვეყნისკენ გაურბის თვალი.

მატჩის შემდეგ მურთაზ ხურცილავამ ჩვენთან საუბარში იგივე აზრი გამოთქვა — ცქიტიშვილს და კიკნაძეს აღარ სურთ თამაში, როგორმე პირველ წრეს ჩავამთავრებთ და შემდეგ ახალ ფეხბურთელებს ავიყვანთო.

დინამოელების თამაშის შემხედვარე იმასაც კი იფიქრებს კაცი, თითქოს შეგნებულად ანიავებენ ქულებს და დანარჩენ ლიდერებს პირველობისთვის ფორას აძლევენ იმ მიზნით, რომ გათამაშებას უფრო მეტი ინტრიგა შესძინონ და ამით თავადაც გაიღვივონ ინტერესი.

დღევანდელი გადასახედიდან „დინამო" — „ატლეტიკის" შეხვედრა ტკბილ სიზმრად გვეჩვენება და იმ აზრამდე მივდივართ, რომ ჩემპიონების ძირითადმა ბირთვმა სწორედ იმ თამაშში ჩააქსოვა მთელი ენერგია და საბრძოლო ჟინი. მიზნის მიუღწევლობამ კი „დინამოში" მათი მოღვაწეობის ფუნქცია ამოწურა.

რაც შეეხებათ გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერის „გორდას" ფეხბურთელებს, ამათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „ტიტულოვანი კლუბების რისხვა". თუმცა ეს რისხვა უფრო ხმამაღალი ნათქვამია, რადგან რუსთაველებმა „კოლხეთთან", „ბათუმთან", „დილასთან", გუშინ კი „დინამოსთან" ოდენ ფრეს გამოჰკრეს ხელი. თუმცა მეტი რა უნდა მოთხოვო მოთამაშეს, რომელსაც ბოლო სამი თვეა, ერთი თეთრიც კი არ მიუტანია ოჯახში...

მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, გორდელებმა მაინც მოინდომეს და ერთი (სულ მეექვსე) ფრეც ჩაიწერეს აქტივში. კიდევ კარგი, ჩვენს ჩემპიონატში, სსრკ-ის პირველობის დარად, ფრეთა ლიმიტი შეზღუდული რომ არ არის, თორემ რუსთაველები და რკინიგზელები სეზონის ბოლოს სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ.

ახლა მატჩზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ძალიანაც რომ მოვინდომო, ბევრს მაინც ვერ ვილაპარაკებ, რადგან გუშინ „ფოლადზე" მეტად ულიმლამო თამაშის მოწმენი შევიქენით. ტრიბუნებზეც სამარისებული სიჩუმე სუფევდა და გულშემატკივრები მხოლოდ შესვენებაზე აჟრიამულდნენ. ამის მიზეზად კი თბილისის „დინამოსა" და ვლადიკავკაზის „ალანიას" თილისმა, ოთარ მათეუს-მამასახლისი მოგვევლინა. თუმცა ჩვენი ჩემპიონატისა არ იყოს, ოთარსაც მოძველებია თავისი შოუ და სანახაობრივად ესეც მოსაწყენი გახდა ქომაგებისთვის.

მთელი 90 წუთის განმავლობაში სტუმრებმა ორად-ორი რეალური მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან.

მე-13 წუთზე პირისპირ დარჩენილ შენგელიას ვარდნაში დაასწრო ქორიძემ. მეკარისაგან ასხლეტილ ბურთს კი მახარაძე დაეუფლა და მხოლოდ მცველისგან დაცულ კარს სასწაულებრივად ააცილა.

მეორე ტაიმში კი შენგელიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ოდნავ არაზუსტად გაისროლა.

მასპინძელთაგან ლაშა ალადაშვილი აწუხებდა ხოლმე სტუმართა მცველებს, მაგრამ „გორდას" მეორე ფორვარდი ჯუბა ჩუხუა რატომღაც პარტნიორობის გაწევას უგვიანებდა თანაგუნდელს.

შეხვედრის მიწურულს გულშემატკივრებმა და რუსთავის გუნდის მწვრთნელ-სათადარიგოებმა ერთხმად დაუქუხეს მსაჯს — დრო ამოიწურაო. დამატებულ 3 წუთში კი საფინალო სასტვენმა კარისკენ სახიფათოდ მიმავალ ბურთიან ჩუხუას მოუსწრო და ქომაგებმა სინანულით გაჯერებული შევბით ამოისუნთქეს.



ზაზა ქაილაძის ფოტო

გიორგი შენგელიას (№16) აქტიურობას ამჯერად გოლი არ მოჰყოლია

ზუგდიდი
28 ოქტომბერი
14 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 1:3 ტორპედო

0:1 იონანიძე (17), 0:2 ქებაძე (55), 1:2 ენდელაძე (75პ), 1:3 ჯანაშია (88)
**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი (კუტალია 22), კიპაროიძე, ტყემალაძე (ჯაბუა 46), ანჯაფარიძე, ჩადუნელი, ბარქაია, მარკოზია (ტაბალუა 22), თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, თოლორაია, აკობია, ჯოჯუა
**ტორპედო:** ჭანტურია, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ჩხაიძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ქებაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, ვაჩიბერაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, მეტონიძე, გენებაშვილი, ჩხეტიანი, მეგრელაძე
**მსაჯები:** გ. ასკაროვლი (ქარელი), ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. პანოვი

# ჯანრის რომ ვერ გაამჩერებ...

**იუზა კაციტაძე ზუგდიდიდან**

ეს მატჩი ორჯერ გადაიდო, ორჯერვე ქუთაისელთა თხოვნით. კაცმა რომ თქვას, „ტორპედო" არც ახლა იტყოდა უარს გადატანაზე. თუ რატომ, ყველამ კარგად უწყის. გუნდს ძირითადი ლამის გაუნახევრდა. ურჩ მოთამაშეებს თავი დავანებოთ, საზუგდიდოდ ქუთაისელებს ჩხეტიანი და მეგრელაძეც დააკლდათ ტრავმების გამო. ისინი თადარიგში ფორმალურად თუ ირიცხებოდნენ. ამიტომ იყო, „ტორპედომ" ორი ფარმკლუბელი უკვე სამეგრელოსკენ გზად მიმავალმა დაიმატა.

„ოდიში" სტუმრებს სრული, საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდა, რაც გასაკვირიც კი იყო. წინა ტურში თსუსთან ხომ ოდიშართა ერთბაშად ექვსმა წამყვანმა იუარა თამაში. გაირკვა, რომ „გაფიცულებმა" ისევ თავიანთ მწვრთნელს სოსო ჭედიას სცეს პატივი, თორემ სხვას ვისაც არ უნდა ეთხოვა, მოედანზე არ გავიდოდნენ.

მატჩი დუნედ, უხალისოდ დაიწყო. საათის მეოთხედმა დრომ ისე განვლო, მეტოქეებს ერთი ხეირიანი შეტევაც კი არ წამოუწყიათ. თამაში მე-16 წუთზე ჩადუნელის ფლანგურმა გარღვევამ გამოაცოცხლა. მასპინძელთა „შვიდიანი" მარცხნიდან შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოში, კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ პარტნიორებმა უმტყუნეს. ამას უმალ სტუმართა კონტრიერიში მოჰყვა, რომელიც, ალბათ, ჩაიშლებოდა კიდევაც ლურსმანაშვილი რომ არ შემცდარიყო უხეშად. ზუგდიდელთა მცველმა თავის ნახევარზე მარტივ სიტუაციაში ბურთი იონანიძეს ჩააბარა, მანაც მშვენიერად ისარგებლა მომენტით, ლურსმანაშვილსაც დაუსხლტდა, წინ გამოსულ ნაყოფიასაც აუარა გვერდი და მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა ცარიელ კარში.

აი, ახლა კი მიეცა თამაშს შნო. მე-20 წუთზე ისევ ჩადუნელმა შეუტია, ამჯერად ცენტრიდან და სახიფათოდ დაარტყა საჯარიმოს გარედან. ჭანტურიამ იმარჯვა. მერე ჭედიამ ორი ინერტული მოთამაშე შეცვალა და მასპინძლებიც უფრო გააქტიურდნენ. სწორედ მოედანზე ახალშესული კუტალია იყო, მარჯვენა ფლანგზე რომ გაიჭრა და ქუთაისელთა საჯარიმოში ენდელაძეს ჩაუწოდა, თუმც მას ვარდნაში თაური აუცდა. მასპინძელთა რამდენიმე შეტევა რომ მოიგერიეს, ტორპედოელებმა უკვე თავად დაიჭირეს ბურთი და უპირატესობაც მათ მხარეს გადავიდა. 32-ე წუთზე ჯანაშიას მიეცა გატანის კარგი შანსი, მან კი ახლოდან მეკარეს ვერ ააცილა. ტაიმის ბოლომდე ქუთაისელებს კიდევ სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ვერა და ვერ იხეირეს. იონანიძეს ნაყოფიამ აუღო რთული ბურთი, ხოლო ვაჩიბერაძემ ჯერ დაახლოებით 15 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა კარში, შემდეგ კი ჯანაშიას ჩინებული გადაცემაც ვერ გამოიყენა, ხუთიოდე მეტრიდან მცველს მოახვედრა.

სტუმართა უპირატესობა შესვენების შემდეგაც თვალშისაცემი გახლდათ. „ტორპედო" უნარიანად ირჯებოდა და ათ წუთში მეორე ბურთიც გაიტანა. გუშინ გამორჩეულად მოთამაშე ჯანაშიამ მარჯვნიდან შეუტია ოდიშართ და საჯარიმოს კუთხეს მიუახლოვდა თუ არა, მოკლე ზუსტი პასი გაუკეთა ქებაძეს და მანაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ბურთი ბადეში გადაგზავნა. 63-ე წუთზე ჯანაშიას თავადაც უნდა გაეტანა. დათომ თავზე გადაატარა ბურთი ნაყოფიას, მაგრამ მცირედით აცდა ძელს.

სამართლიანები უნდა ვიყოთ, მასპინძლებიც ცდილობდნენ თავისას. ერთ მომენტში ჯაბუამ გაისროლა შორიდან. აქ ჭანტურიამ იხსნა „ტორპედო". მერე მაღლაკელიძე საკუთარ საჯარიმოში შეებრძოლა ენდელაძეს, ზვიადი წაიქცა და არბიტრმაც უმალ დანიშნა პენალტი. „ოდიშმა" ერთი გაქვითა და გულიც მიეცა, ლამის მთელი გუნდით შეუტია. ორ წუთში კუტალიამ ნაღდი საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან, თუმცა რაღა ნაღდი, მას ჭანტურიამ აუღო ახლოდან დარტყმული.

ბოლო ათი წუთი სტუმართა დაცვა უფრო ფხიზლად იყო და მეტოქე თავის საჯარიმოს აღარ გააკარა. ღირებული თუ კი რაიმე ხდებოდა, მხოლოდ საპირისპირო მხარეს. მთლად „აიწყვიტა" ჯანაშიამ. მართალია, 83-ე წუთზე მას ერთხელაც არ გაუმართლა. ოდნავ აუცდა კარში დარტყმული დაბალი, მაგრამ ხუთ წუთში ჩხაიძის გადაცემის შემდეგ ნაყოფიას შანსი აღარ დაუტოვა.

ლანჩხუთი
28 ოქტომბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

## გურია 4:2 დილა

1:0 მახარაძე (6), 1:1, 1:2 კაიდარაშვილი (17, 27), 2:2 მახარაძე (40), 3:2, 4:2 განევი (47, 55)
**გურია:** გოგუა, ფაცურია, კაკაჩია, კუკულაძე (პატარაია 31), განევი, გ. გიორგაძე, ინიაშვილი (ბულუხია 56), დ. მახარაძე (ლორია 90), თიბილაშვილი, მელაძე, ზ. კვეკვესკირი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე, ჩიგოშვილი
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, მოსულიშვილი (ბ. ჩიტაია 62), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, ახალკაცი, თაყაძე, არუთუნიანი
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ს. შალამბერიძე (ორივე თბილისი), დ. თოდუა (მარტვილი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

# გოლები ტყუპ-ტყუპად

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

მას შემდეგ, რაც 13 სექტემბერს გურულებმა „ვიტ ჯორჯიას" მოუგეს, ქულა რაა, ისიც არ აუღიათ. „გურიამ" ოთხი მატჩი ჩაატარა და ოთხივე პირწმინდად დათმო. ბურთების შეფარდებას არ იკითხავთ? ერთი გატანილი და 16 საკუთარ კარში მიღებული. შესაშური შედეგია. ჰოდა, ასეთი თამაშის შემხედვარე რა გასაკვირია, რომ გურულები სატურნირო ცხრილის ფსკერზე ჩაიძირნენ. ეს მატჩი, როგორც ვიცით, გასულ შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი გადადების მიზეზი ალბათ „გურიაში" შექმნილ გაურკვეველ სიტუაციაში უნდა ვეძიოთ. შეკრება ვერ ხერხდებოდა და ამის შემდეგ რა ფეხბურთზე და რა პირობებზეა ლაპარაკი. ამასობაში კლუბის თავკაცებმა, ეტყობა, ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენეს, ჯონი ჯანელიძეს უნდობლობა გამოუცხადეს, ახალი მწვრთნელიც დანიშნეს და ფეხბურთელებიც როგორღაც დაიყოლიეს. ასე რომ, გუნდში ხელახლა აღზევებული ავთო ნარიაშვილის სამწვრთნელო დებიუტი სწორედ „დილასთან" პრინციპულ თამაშში უნდა შემდგარიყო და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთობ წარმატებულიც გამოდგა. თითქოს დალხინებულად არც გორელები არიან, მაგრამ ფეხბურთისადმი და თვით გუნდისადმი მიდგომა აბსოლუტურად სხვანაირია. ქალაქის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები რაც შეუძლიათ, გვერდში უდგანან „დილას". ჰოდა, ახალგზარდა ფეხბურთელებმაც მათი ღვაწლი წყალში არ ჩაყარეს და შთამბეჭდავი თამაშით წინა ტურში აქამდე დაუმარცხებელი „ტორპედო" წააქციეს და სატურნირო ცხრილშიც მეორე საფეხურზე გადავიდნენ.

განსხვავებული მიზნების მქონე მეტოქეთა მატჩი ერთობ საინტერესო და თვალსასეირო გამოდგა. მოგებამოწყურებულმა მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და მალე იხეირეს კიდეც. მე-6 წუთზე ფაცურიას ჩაწოდებული კუთხური სტუმრებმა კი გამოიტანეს საჯარიმოდან, მაგრამ თიბილაშვილმა ბურთი კვლავ იქ დააბრუნა. აქ გორელები თამაშგარეს ითხოვდნენ, მაგრამ თანამსაჯი დუმილით შეხვდა ამ ეპიზოდს და მდივანთან პირისპირ დარჩენილმა მახარაძემ ანგარიში გახსნა — 1:0. მერე გურულებმა მეორის მიყოლებაც მოინდომეს, მაგრამ თავად მიიღეს. მე-17 წუთზე სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და გიორგი ჩიტაიას მიერ მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთზე კაიდარაშვილმა მეურვე კუკულაძეს დაასწრო და გოგუას შანსი არ დაუტოვა 1:1. ათიოდ წუთში იმავე კაიდარაშვილმა დაბნეულ მეტოქეს მეორეც გაუტანა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სრულიად უმეთვალყუროდ დარჩენილმა გორელთა მეგოლემ თავი დაუხვედრა და დუბლიც გააზერხა. ხუთ წუთში მას გასამებაც შეეძლო, მაგრამ ვერ შეძლო.

ნარიაშვილმა დაცვის უმწეობა დროზე შენიშნა, კუკულაძე პატარაიათი შეცვალა, ხოლო მისი ადგილი ზაზა კვეკვესკირს ჩააბარა, რომელმაც კაიდარაშვილის პრობლემა წარმატებით მოაგვარა, რამაც ნაყოფი გამოიღო და მასპინძლებმა შესვენებამდე ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს. თიბილაშვილის მიერ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულს მელაძემ თავით არცთუ კარგად დაარტყა, იქიდან მახარაძეს მიუგორდა და მანაც ბურთს სწორი მიმართულება მისცა 2:2. ორ წუთში მანვე დიდებული ეპიზოდი აჩუქა მცირერიცხოვან პუბლიკას, როდესაც ულამაზესი მაკრატელათი გორელთა ხარიხა შეაზანზარა, იქიდან ასხლეტილს მელაძე ხუთიოდ მეტრიდან კარში გზავნიდა, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

თამაშის განახლებიდან ორ წუთში „გურია" წინ გავიდა. რვა წუთის ინტერვალში ორჯერვე განევმა იმარჯვა, ორჯერვე კუთხურიდან, ორჯერვე თავით. პირველი კუთხურისას გორელთა მეკარისა და მცველების შეცდომით ისარგებლა და „დილას" მეკარე მდივანი მესამედ გაამწარა, 55-ეზე კი კვლავ კუთხურის ჩაწოდებისას მანვე ასევე მცველთა შეუთანხმებლობით ისარგებლა და თავურით ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა თავისიანები. ამას კი გორელები ნამდვილად არ ელოდნენ, თუმცა ამის მერე გუნდებს კარგა ხანი ღირებული არაფერი შეუქმნიათ. აი, ბოლო ოც წუთში კი ოთხ დღეს ნავარჯიშევი „გურია" დაიღალა, იძულებით საკუთარ საჯარიმოში ჩასახლდა და დროდადრო კონტრშეტევების განხორციელებას ლამობდა. ფიზიკურად უკეთ მომზადებულმა სტუმრებმა კი იძალეს, მაგრამ დიდად ვერაფრით იხეირეს. გურულებმა საკუთარი კარის დაცვაზე ბევრი იზრუნეს და შეტევაში გართულ მეტოქეს რამდენჯერმე მწარედ უჩხვლიტეს. განსაკუთრებით მახარაძემ გამოიდო თავი. მას 82-ე წუთზე ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო — კარიდან წინ გამოსულ მდივანს თავზე კი გადაუგდო ბურთი, მაგრამ დაუცველ კარს ოდნავ ააცილა. ამის მერე გორელთა საბოლოო შტურმს შედეგი არ მოჰყოლია. გურულებმა სამი ქულის ბრძოლით მოპოვებით შემდეგ ტურში „სამგურალის" წინაღმდეგ საგარეო მატჩისთვის გუნება-განწყობილება გამოიკეთეს და მათ დასაზვერად ჩამოსული წყალტუბოელთა თავკაცი გაიოზ დარსაძეც შეაფიქრიანეს.

# არმიელებს გენერალი შეუცვალეს

წლევანდელი ჩემპიონატი თბილისის „არსენალმა“ დებიუტანტის კვალობაზე არცთუ ურიგოდ დაიწყო. მართალია, გუნდს ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ რიგ შეხვედრებში მშვენიერი, გამართული ფეხბურთიც აჩვენა და, რაც მთავარია, აუტსაიდერთა რიგებისკენ ჯერჯერობით არც გაუხედავს. ამის მიზეზი კი პირველ რიგში მათი მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე გახლდათ. არმიელთა ხელმძღვანელობაც მწვრთნელს მეტად ემადლიერებოდა, ორიოდ დღის წინ კი ყველაფერი შეიცვალა — „არსენალი“ და კორღალიძე გაიყარნენ. მიზეზად ბატონმა ოთარმა გუნდის ვიცე-პრეზიდენტთან უთანხმოება დაასახელა.

— აქ არავითარი ფინანსური უთანხმოება არ ყოფილა. არმიელები ჩემი მუშაობითაც კმაყოფილნი იყვნენ, უბრალოდ, ვიცე-პრეზიდენტთან ჩემმა ურთიერთობამ სკანდალური ხასიათი მიიღო. ჩემი „არსენალში“ დარჩენა გამორიცხული იყო — განაცხადა კორღალიძემ. რა მოხდა ვიცე-პრეზიდენტსა და კორღალიძეს შორის, ჩვენთვის უცნობია. არმიელთა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა მიზეზის დასახელებისგან თავი შეიკავა. თუმცა კორღალიძე უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა.

— ოთარ კორღალიძე გუნდში მწვრთნელად იმუშავებს. მისი და ხურცილავას დუეტი, ვფიქრობ, „დინამოს“ წაადგება — გუშინ რუსთავში, „გორდასა“ და „დინამოს“ შეხვედრის დროს, ოთარის თბილისელთა სათადარიგო სკამზე ჯდომა „დინამოს“ ჯერაც ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძე ასე ახსნა.

თბილისში ასეთი ხმაც გავრცელდა, თითქოს კორღალიძე არმიული კლუბის ხელმძღვანელობამ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო კი არ გაათავისუფლა, არამედ იმიტომ, რომ ყრილობაზე მერაბ ჟორდანიას მისცა ხმა, „არსენალის“ უფროსობა კი მხარს ჩივაძეს უჭერდაო.

იმის გამო, რომ თავად ბატონმა ოთარმა სიტუაციის ბოლომდე გაცხადება არ ისურვა, კომენტარი „არსენალის“ ამჟამინდელ თავკაც მამუკა გეგეჭკორს ვთხოვეთ, რომელიც მანამდე კორღალიძის თანაშემწე იყო.

— სამწუხაროა, რომ საზოგადოებაში ასეთი აზრი გავრცელდა. ბატონი ოთარის გუნდიდან წასვლის მიზეზი გუნდის ხელმძღვანელობასთან პირადი უსიამოვნება გახლდათ, თუმცა ეს არც ჩემპიონატში ნაჩვენებ შედეგებთან ყოფილა დაკავშირებული და არც არჩევნებთან. ძალიან ცუდია, რომ მას გუნდთან განშორება მოუხდა. ჩვენ ფაქტობრივად წელიწადნახევარი ერთად ვმუშაობდით. დღეს რომ „არსენალი“ პირველი ჯგუფის ბინადარია, ოთარს ამაში ლომის წილი მიუძღვის. მას გუნდის წინაშე დიდი დამსახურება აქვს და ამას არავინ დაუვიწყებს. კორღალიძისნაირი სპეციალისტები ქართულ ფეხბურთს ძალიან სჭირდება და როგორც გავიგე, უკვე ახალი სამსახურიც უშოვია — იგი „დინამოში“ მურთაზ ხურცილავას თანაშემწედ იმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, მაინც ახლო მეგობრებად დავრჩებით. მისი წასვლის შემდეგ მეც მსურდა გუნდის დატოვება, მაგრამ „არსენალის“ პრეზიდენტმა ჯონი ფირცხალაიშვილმა მთხოვა, დავრჩენილიყავი და პირველი წრის ბოლომდე გუნდს გავძღოლოდი. ამ საქმეში კი მამუკა აბუსერიძე დამეხმარება.

**— ოთარ კორღალიძის წასვლა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გუნდს მისი ვაჟი ლევანიც დატოვებს?**

— არავითარ შემთხვევაში. ლევანის საქმე გუშინ გადაწყდა. იგი ჩვენთან დარჩება და ყურადღებას არ მოვაკლებთ, პირიქით, გავაათმაგებთ კიდეც. ლევანი შვილივით მიყვარს, ვხედავ მის ნიჭს და ღრმად მწამს, მისგან ისეთი ფეხბურთელი დადგება, რომელიც მომავალში საქართველოს გამოადგება. მით უმეტეს, ძალიან მონდომებულია და საქმეს სერიოზულად უყურებს.

**— მწვრთნელის წასვლა გუნდზე ფსიქოლოგიურად ხომ არ იმოქმედებს?**

— რა თქმა უნდა, ბიჭებისთვის რთული გადასატანია ეს ამბავი, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, შევუმსუბუქოთ. მორიგი კალენდარული მატჩი 3 ნოემბერს გვიწევს თბილისში გორის „დილასთან“, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად ჩემპიონატს საკმაოდ ძლიერად ატარებს. ამ შეხვედრისთვის გუნდი უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიურად უნდა მოვამზადოთ, რადგან შუა ჩემპიონატის დროს ასეთი ცვლილებები ფეხბურთელებზე ყოველთვის ცუდად მოქმედებს.

**— ახალ მწვრთნელს ახალი ხალხი მოჰყავს-ხოლმე, თქვენც ხომ არ აპირებთ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებების მოხდენას?**

— არა, მხოლოდ ერთი ცვლილება იქნება. ბოლო დროს დიდი პრობლემები შეგვექმნა დაცვაში, რაც ძირითადად ტრავმებით იყო გამოწვეული. თუ გახსოვთ, ერთი თვის წინ „ტორპედოსთან“ საშინაო შეხვედრაში ფეხი მოიტეხა ავთო ცერცვაძემ, რომელიც, ალბათ საკმაო ხნით ჩამოშორდება გუნდს, ასევე ტრავმირებული გვყავდა ირაკლი გემეზაშვილი, მაგრამ იგი გამოჯანმრთელდა და ცოტ-ცოტას გუნდთან ერთადაც ვარჯიშობს. ამის გამო დახმარება ვთხოვეთ ვეტერან ფეხბურთელ გოჩა ჩიქოვანს, რომელიც უკვე აღარ თამაშობდა. გოჩა დაგვთანხმდა და პირველი წრის დარჩენილ ოთხ მატჩში გუნდს დაეხმარება. სხვა ცვლილება „არსენალში“ ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის.

ბაატა ძვანტალიანი
ვანო ოქროპირიძე



ოთარ კორღალიძე უკვე „დინამოს“ მწვრთნელთა შტაბს შეემატა

## საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩი

*საუ 0:6 თსუ*

*თბილისი 0:0 თბილისი*

*მერვედფინალში ითამაშებენ „ლოკომოტივი“, „ოდიში“, სამტრედიის „იბერია“, „სამგურალი“, „დილა“, „ვიტ ჯორჯია“, „არსენალი“, „მერანი“, „გორდა“, „სიონი“, თსუ, ბათუმის „კოლეჯი“ და „დინამო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“, „ტორპედო“*

## უდისციპლინონი

*სამგურალი* — **გაფრთხილება** (22): დ. ჭელიძე (4), ფრანგიშვილი (4), გ. თევზაძე (3), ფაიქიძე (3), თევდორაძე (2), ი. ხაჭაპურიძე (2), ლონდაძე (2), კ. ჯანაშია, სტურუა; **გაძევება** (1): ფაიქიძე

*არსენალი* — **გაფრთხილება** (20): ვ. გველესიანი (3), ყოლბაია (3), დ. კაპანაძე (3), მ. თევზაძე (2), ჩლაიძე (2), ლაცაბიძე (2), ფირცხალავა, ლომიძე, ცერცვაძე, გემეზაშვილი, ხოსროშვილი; **გაძევება** (1): ვ. გველესიანი

*ოდიში* — **გაფრთხილება** (20): ბარქაია (3), ლურწკაია (3), კიპაროიძე (3), ტყემალაძე (3), ნაყოფია (2), პ. ლურსმანაშვილი (2), ჩადუნელი (2), ჭურღულია, კ. კვეკვესკირი

*ვიტ ჯორჯია* — **გაფრთხილება** (19): გ. გვაზავა (3), ზ. მენთეშაშვილი (3), აბაზაძე (2), ზ. გვაზავა (2), ვ. გოჩაშვილი, დოლიძე, პეტრიაშვილი, ჯ. მუჯირი, კვიციანი, ი. კაპანაძე, ჭურაძე ჭანკოტაძე, მაზიაშვილი; **გაძევება** (2): ზ. მენთეშაშვილი, დვალიშვილი

*დილა* — **გაფრთხილება** (16): კაიდარაშვილი (3), თაყაძე (2), გ. ჩიტაია (2), ციცქიშვილი (2), ხ. გაგნიძე (2), შატაკიშვილი (2), ფეზუაშვილი, ბ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი; **გაძევება** (2): ციცქიშვილი, დ. მაისურაძე

*მერანი* — **გაფრთხილება** (16): ცქიფურიშვილი (3), დანელია (3), დავითნიძე (2), ბაჯელიძე (2), მესხი (2), გ. კვეტენაძე, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გეწაძე

*ლოკომოტივი* — **გაფრთხილება** (15): ბალაშვილი (3), კაციაშვილი (2), თარხნიშვილი (2), გიორგი ქორიძე, ბარნოვი, დაუშვილი, კვიტატიანი, ბაქრაძე, კოტორაშვილი, მარლიშვილი, არსოშვილი

*სიონი* — **გაფრთხილება** (15): დ. სვანიძე (2), თ. სამხარაძე (2), დ. ჯაფარიძე (2), კ. გოდერძიშვილი (2), გაგუა, პოზოიანი, გოგოლაძე, მ. სამხარაძე, ჯაგიდისი, შაკიაშვილი, ყიფშიძე; **გაძევება** (1): კ. გოდერძიშვილი

*იბერია* — **გაფრთხილება** (13): ხუჭუა (3), ნიკოლეიშვილი (2), გეგეშიძე (2), ბრეგვაძე (2), სადილიანი, მუმლაძე, დარასელია, გ. ლურსმანაშვილი

*ბათუმი* — **გაფრთხილება** (11): რუსია (4), ტულუში (2), მ. მახარაძე, გადელია, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, პაპიძე; **გაძევება** (1): პაპიძე

*ტორპედო* — **გაფრთხილება** (11): დ. ჯანაშია (4), მეგრელაძე (2), პ. ჯინჭარაძე, ყიფიანი, ჩხაიძე, იონანიძე, შეყრილაძე; **გაძევება** (1): ჩხაბერიძე

*დინამო* — **გაფრთხილება** (10): ცქიტიშვილი (3), გუჩუა (2), დიდავა (2), ალექსიძე, ლ. მიქაძე, ჯელაძე; **გაძევება** (1): გუჩუა

*თსუ* — **გაფრთხილება** (9): გ. ილურიძე (2), ცომაია (2), როსტიაშვილი (2), ზამთარაძე, ნინუა, კაკუბავა; **გაძევება** (1): გაბელია

*კოლხეთი* — **გაფრთხილება** (9): წივწივაძე (2), პაპავა (2), კაკაჩია, გვასალია, გოროზია, ღლონტი, ახვლედიანი

*გორდა* — **გაფრთხილება** (7): მჭედლიძე (2), ბექაური (2), ბურნაძე, კ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი

*გურია* — **გაფრთხილება** (7): ინიაშვილი (2), ზ. კვეკვესკირი (2), ბულუხია, გოგუა, მელაძე

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | წივწივაძე | *კოლხეთი* |
| 9 | იონანიძე | *ტორპედო* |
| 8 | აშვეთია | *დინამო* |
| | ხომერიკი | *დინამო* |
| | კაიდარაშვილი | *დილა* |
| 6 | დ. მახარაძე | *გურია* |
| | მეგრელაძე | *ტორპედო* |
| | ტულუში | *ბათუმი* |
| | გ. შენგელია | *დინამო* |
| 5 | ვ. გიგიაძე | *იბერია* |
| | ენდელაძე | *ოდიში* |
| | კაკაშვილი | *არსენალი* |
| | მაჭუტაძე | *ბათუმი* |
| | ფაიქიძე | *სამგურალი* |
| | ჩომახიძე | *იბერია* |
| | ცქიტიშვილი | *დინამო* |
| | დ. ჯანაშია | *ტორპედო* |
| 4 | გ. გვაზავა | *ვიტ ჯორჯია* |
| | გვასალია | *კოლხეთი* |
| | დ. გოდერძიშვილი | *ლოკომოტივი* |
| | ივეჩიანი | *იბერია* |
| | მარეხაშვილი | *დილა* |

| № | # | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო (4) | 2 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:12 | +17 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 18:5 | +13 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | +4 | 13 |
| 2 დინამო (1) | 1 | 10 | 7 | 3 | 0 | 35:7 | +28 | 24 | 5 | 4 | 1 | 0 | 26:6 | +20 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:1 | +8 | 11 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | +10 | 21 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | +4 | 9 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | +6 | 12 |
| 4 დილა (9) | 4 | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | +5 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 5 კოლხეთი (3) | 5 | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | +10 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | +13 | 16 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 6 ბათუმი (2) | 6 | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | +8 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | +9 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | -3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | +6 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:19 | -9 | 6 |
| 8 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 0 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 8 |
| 9 ოდიში (5) | 9 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 |
| 10 არსენალი (დ) | 10 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | -7 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 |
| 11 მერანი (7) | 11 | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | -4 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 5 |
| 12 გურია (14) | 16 | 11 | 3 | 1 | 7 | 13:29 | -16 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | +1 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:21 | -17 | 1 |
| 13 თსუ (8) | 12 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | -6 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 14 გორდა (11) | 14 | 11 | 1 | 6 | 4 | 6:8 | -2 | 9 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:3 | +1 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 15 სიონი (13) | 13 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | -15 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | -15 | 0 |
| 16 სამგურალი (12) | 15 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | -17 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:20 | -15 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში




3 ფაქტორი

① თუ რატომ უნდა ისწავლოთ ინგლისური

② მალე XXI საუკუნე დგება ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნის გარეშე XXI საუკუნეში არა გესაქმებათ

③ ნათქვამია, სწავლა სიბერემდეო

3 მიზეზი

① თუ რატომ უნდა ისწავლოთ ინგლისური ინგლისში

② ინგლისი ინგლისურის სამშობლოა

③ ინგლისური სასწავლებლების დიპლომებს მთელს მსოფლიოში ცნობენ და აფასებენ

④ ყოველდღე დაახლოებით 1800 ადამიანი ჩადის ინგლისში ინგლისურის შესასწავლად

ისწავლეთ ინგლისური ინგლისში

① ნებისმიერი დონის სწავლებით, დაწყებული ელემენტარულიდან, დამთავრებული პროფესიონალურით

② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში

③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა

④ მისაღები ფასები

რუსთაველის №17 ტ: 98 37 10

# უპატრონო მხარეში ფეხბურთი გაბატონდა

*ახალმა დრომ, ახალმა ღირებულებებმა ბევრი რამ დავიწყებას მისცა. სულიერმა გაჭირვებამ ცხოვრებისეული პრობლემების მოძიებამ დროებით, მაგრამ მაინც შედარებით უკან გადასწია სულიერი ფასეულობანი.*

*ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირე ქართულ სპორტსაც შეეხო. ბოლო წლებში ქიზიყში ჩაკვდა ფეხბურთი. აღარ ფუნქციონირებს რაიონული გუნდი. სოფლის გუნდებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.*

*მადლობა ღმერთს, რომ სიღნაღის რაიონში აღმოჩნდნენ ქართული სპორტის განვითარებით დაინტერესებული ადამიანები და სწორედ კრიტიკულ მომენტში, როცა ყველა დაბნეულია და „თავის ჯამს ჩასცქერის", ჭეშმარიტმა ქართველებმა უდრტვინველად წამოიკიდეს ზურგზე კაიკაცობის მძიმე ტვირთი და შეუმცდარად დაადგნენ სწორ გზას. დღეს მათი სახელი სიღნაღის რაიონში დიდსა თუ პატარას პირზე აკერია. სწორედ მათი თაოსნობით დაიწყო ქიზიყური ფეხბურთის ახალი ხანა.*



*1998 წლის ივლისის თვეში სიღნაღის რაიონის სოფელ ძველიანაგაში იშვა საფეხბურთო კლუბი „ლარწყალი". კლუბის პრეზიდენტია აგურის ქარხნის დირექტორი, ფეხბურთის დიდი ტრფიალი, ამირან ლევდაშვილი. სწორედ მასთან შედგა დიალოგი. მორიგი თამაშის დაწყებამდე ორი საათი იყო დარჩენილი. დიდ ფაციფუცში იყო პრეზიდენტი, საუბარი მაინც შედგა.*

**— ვისი იდეაა გუნდის შექმნა?**

— ჩემი — უმალ მომიგო — ბავშვობაში სპორტით ვიყავი გატაცებული. ვოცნებობდი ფეხბურთელი გავმხდარიყავი. მცირე წარმატებებიც მოვიპოვე. მაგრამ, ოცნება ოცნებად დამრჩა. ახლა, როცა ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე, იმ პირველმა სიყვარულმა არ მომასვენა და...

**— რას გვეუბნება გუნდის სახელწოდება „ლარწყალი"?**

— ლარწყალი, ჩემი სოფლიდან 3 კილომეტრით დაშორებულ ტყეში გადმოჩუხჩუხებს. იქ ჩემი სოფლელების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. განსაკუთრებით ზაფხულში. ქიზიყური ხვატი რომ ჩამოწვება, იქ ყოფნას და ცივი წყლის სმას არაფერი სჯობს. უფრო კი ამ სახელით, ჩვენი წინაპრების მოფერება მინდოდა.

**— როგორ ჩამოაყალიბეთ გუნდი?**

— გადავწყვიტეთ, თავი მოგვეყარა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სპორტის ამ სახეობით იქნებოდნენ გატაცებულნი. არც სოფელში და არც რაიონში საკმარისი კადრები არ აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ, მეზობელი რაიონებიდანაც მოგვეწვია ისინი და აი, გუნდიც დაკომპლექტდა.

**— რამდენი კაცია გუნდში?**

— გუნდში 19 კაცია. გუნდის უფროსია ავთანდილ მანგოშვილი. მწვრთნელები: ნოდარ ლევდაშვილი, ვასიკო ზურაშვილი, გელა ბეგიაშვილი.

ზურაბ ხუციშვილი, შალვა კობიაშვილი, ზურაბ ქენქაძე, ემზარ გელაშვილი, თენგიზ ჩხაიძე, შენგელი შაიშმელაშვილი, გოგიტა ცისკარაული, ლაშა გოლეთიანი, ლევან შალვაშვილი, გია ტოკლიკიშვილი, გოჩა ომანიშვილი, გოჩა ელიზბარაშვილი, დავით მჭედლიშვილი, დავით დურგლიშვილი, მიშა ქემაშვილი, ნუგზარ ნაცვლიშვილი, კახა ორჯონიკიძე — აი, ის ბიჭები, ვინც ჩვენი წარმატება განაპირობა.

**— ტრიუმფით დაიწყეთ არა?**

— დიახ, პირველი გამოჩენა საფეხბურთო სარბიელზე და პირველი წარმატებები.

დღემდე ჩატარებული რვა შეხვედრიდან 6 მოგება, 2 ფრე.

როგორც ხედავთ, სტარტი წარმატებული გამოდგა და გუნდი მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

**— სად გადიან წვრთნას?**

— ძველიანაგის საწვრთნელ ბაზაზე. სტადიონზე მოვაწყეთ გასახდელები, საშხაპე და კაფე-სასადილო.

**— ვინ გაგიწიათ დახმარება და თანადგომა ამ კეთილშობილურ საქმეში?**

— პირველ რიგში, სიღნაღის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა ვაჟა ცაბუტაშვილმა, რომელიც იმითაც დაგვეხმარა, რომ კერძო მფლობელობაში გადმოგვცა 100 ჰექტარი მიწა. ამ მიწას ჩვენ დავამუშავებთ და შემოსავალს საჭიროებისამებრ გუნდს მოვახმართ.

*ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი თანადგომა გამოიჩინა სიღნაღის რაიონის ნაკრძალების დირექტორმა, ბატონმა ავთანდილ მანგოშვილმაც, რომლის ერთ-ერთი ჰობი ფეხბურთია და მისი გადარჩენისთვის, გუნდის უფროსის საპატიო მისიასაც დიდებულად ასრულებს. სწორედ მისი სპონსორობით შეიძინა ბატონმა ამირანმა სპორტული ბაზის კეთილმოწყობა და ფეხბურთელებისთვის სპორტული ფორმების შეძენა. უფრო მეტიც, მათივე თაოსნობით სიღნაღის რაიონის ოთხ სოფელში: თვით ძველიანაგაში, ტიბაანში, საქობოში და ვაქირში 18 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის ჩამოყალიბდა საფეხბურთო ჯგუფები.*

*ერთი სიტყვით, ამირან ლევდაშვილმა და ავთანდილ მანგოშვილმა სოფლის თუ რაიონის საზოგადოებას, ახალგაზრდობის განწყობილება შეუცვალეს. ამაზე ნათლად მეტყველებს ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა, გულშემატკივართა დიდი გუნდი და თუმცა პატარა, მაგრამ მაყურებლებით გადაჭედილი სტადიონის ტრიბუნები.*

**მაყვალა ლევდაშვილი**



მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთი ლიდერი ძველიანაგის „ლარწყალი"

# ჯერ ისწავლონ, მერე გაწვრთნან!

ქართული ფეხბურთის უამრავ სატკივარს შორის ერთია უმთავრესი — ქვეყანაში კვალიფიციურ მწვრთნელთა უკმარისობა. ეროვნული ჩემპიონატის პირველ და მეორე ჯგუფებში 72 გუნდი თამაშობს, შესაბამისად, ამ 72 გუნდს 72 მწვრთნელი უდგას სათავეში და ამათგან თანამედროვე იდეითა და ტაქტიკით აღჭურვილს ათიოდეს თუ იპოვი კაცი. არადა, ამბიცია და საკუთარ თავზე წარმოდგენმა გაგიხარიათ, გააჩნიათ.

ხელისშემშლელი მიზეზი არაერთი აქვთ ქართველ დამრიგებლებს, მიუხედავად იმისა, თუ რა დონის გუნდებთან უხდებათ მუშაობა. ეს ერთნაირად ეხებათ პირველი ჯგუფის ლიდერთა გამწვრთნელებსაც და ბავშვთა სკოლების ენთუზიასტ-მასწავლებლებსაც, ფეხბურთელებს უმეტესად ასფალტზე ან წიდაზე რომ ზრდიან. მაგრამ ერთია პირობები და მეორე ის ფეხბურთი, რომელსაც თანამედროვე ქართველი მწვრთნელები ათამაშებენ თავიანთ გუნდებს. აკი ჩანს კიდეც ჩვენი ჩემპიონის თუ პრიზიორების მიერ ჩატარებული საერთაშორისო მატჩების შედეგებიდან, რაოდენ მოძველებული ტაქტიკით ირჯებიან ქართველი ფეხბურთელები მოედანზე.

ბევრი მწვრთნელი იმართლებს თავს იმით, რომ შეუძლებელია ზედმეტად დატვირთო ჩვენებური ფეხბურთელები, ვინაიდან არ არსებობს აღდგენისთვის საჭირო საშუალებები და ამიტომაც მოსალოდნელია მობურთალთა გამოფიტვა ან გადაწვა. აუტსაიდერი და გაჭირვებული გუნდების მწვრთნელებს კიდევ ეპატიებათ მსგავსი „თავისმართლება", სულმოთქმულ გუნდთა დამრიგებლებმა კი უფრო თავისთავში უნდა ეძიონ მარცხის მიზეზები. ერთია დახარჯული ენერგიის აღდგენა და მეორე — არასწორი ტაქტიკით რომელიმე შეხვედრის წაგება.

ზოგიერთი ქართველი მწვრთნელი შემსრულებელთა ნაკლებობას უჩივის, მაგრამ იქვე ვარდება მეორე უკიდურესობაში — ქვეყანა სავსეა ნიჭიერებით და ტალანტებით, რომლებსაც ცუდი პირობები უშლით ხელს თანამედროვე, სწორი ფეხბურთის თამაშიო. ტალანტები დიახაც შეიძლება გვყავდეს საქართველოში, ამაზე ვერ იკამათებ, მაგრამ ის, რომ შემსრულებელი არ არსებობს, აშკარად საკამათოა. ისევ ჩვენი ჯაგლაგი ეროვნული ჩემპიონატიდან მოვიყვანთ ზემოთ თქმულის დამადასტურებელ მაგალითს: გაიოზ დარსაძეს ამჟამად მუშაობა მეტად და მეტად საშუალო შემსრულებლებით დაკომპლექტებულ წყალტუბოს „სამგურალში" უწევს. ეკონომიურადაც არ ულხინთ იმერული გუნდის ფეხბურთელებს, აქედან გამომდინარე, ნორმალურ აღდგენით პროცესებზე ზედმეტია ლაპარაკი. თამაშებსაც ნაირ-ნაირი ანგარიშით აგებენ წყალტუბოელები (0:4,1:6 და ა.შ.), მაგრამ გუნდი მაინც არ ტოვებს „ბანდის" შთაბეჭდილებას და ეს იმიტომ, რომ მწვრთნელის ხელი აშკარად ეტყობათ. თითქმის ნებისმიერი შეხვედრის პირველ თხუთმეტ წუთს „სამგურალი" თვალის გასახარ მწყობრ ფეხბურთს თამაშობს, აი, მერე კი ძალა აღმართს ხნავს ხოლმე და ფეხბურთელებიც „იჭრებიან." ეს მაგალითი იმიტომ არ მოგვიყვანია, ვინმეს „სამგურალის" საცოდაობით ცრემლები ვაღვრევინოთ, ანაც ის ვამტკიცოთ, რომ დარსაძეს მწვრთნელის ნიჭი აკვნიდან დაჰყვა. წყალტუბოში „ვოიაჟი" იმ მწვრთნელთა კურსების აუცილებლობის და საჭიროების დასასაბუთებლად დაგვჭირდა, რომელიც თავის დროზე დარსაძემ გაიარა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავა მორიგი მატჩის წინ „აიაქსის" სკოლამოვლილ გიორგი მიქაძეს მოძღვრავს

წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სფფ-ს პრეზიდენობის ყოფილმა კანდიდატებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიცია საქართველოში მწვრთნელთა დონის შესახებ. ჩვენთვის მერაბ ჟორდანიასა და რამაზ გოგლიძის აზრებია ცნობილი ამასთან დაკავშირებით.

ფედერაციის პრეზიდენტი ქართველ დამრიგებელთა დონეს საშუალოზე ბევრად დაბალ შეფასებას აძლევს. მერაბ ჟორდანიამ ისიც თქვა, რომ ხშირად ეძლეოდა ხოლმე საშუალება რომელიმე პრესტიჟული ევროპული სამწვრთნელო სკოლაში ორიოდე ქართველი მწვრთნელის მივლინებისა, მაგრამ იქ წამსვლელი ქართველი დამრიგებელი ვერ მოიძებნა (!). არადა, სპონსორებიც გაუჩენია ჟორდანიას და ევროპაშიც ელოდნენ თურმე ქართველებს. მაინც როგორ გგონიათ, რამ შეუშალათ ხელი ჩვენებურ დამრიგებლებს, პრესტიჟულ სამწვრთნელო სკოლებში წასვლა რომ გაერისკათ? ალბათ, ენის უცოდინარობამო — ვარაუდობს ახალარჩეული პრეზიდენტი, მაგრამ ეს მხოლოდ საშუალებაა უარის თქმისა, თავიდათავი კი ისაა, ჩვენს მწვრთნელებს დღევანდელი კვერცხი რომ უჯობთ ხვალინდელ ქათამს. ადრინდელი დამსახურების გამო ერთ გუნდს სულ გამოუძებნიან და ზედმეტად თავი კი ვის აუტკივებია ჩვენში. ისე, ენის უცოდინარობა ერთშიც უშლით ხელს ქართველ დამრიგებლებს — ისინი ელემენტარულად ვერ ეცნობიან თანამედროვე სამწვრთნელო თეორიას, არც ქართული სამწვრთნელო სემინარები ეწყობა და ჩვენი მობურთალებიც დარჩნენ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) „დირ-დირისა" და „ფიშკების" ამარა. „ფიშკებს" შორის ზიგზაგებით სირბილი კი რა ხეირსაც გვაყრის, ყველა ვხედავთ.

ახლა რამაზ გოგლიძეს დავესესხოთ — 1985 წლის ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ქართველი მწვრთნელები შევკრიბე და ბრაზილიის ახალგაზრდული გუნდის ვარჯიშს დავასწარი. ერთი კაცი რაა, ერთსაც კი ვერ დავუნახე ბლოკნოტი და საწერკალამი. ასე მიპასუხეს — ეგენი რა ფეხბურთს გვასწავლიანო?

მას შემდეგ ცამეტ წელიწადზე მეტი გავიდა. ბრაზილიის ის ნაკრები იმ წელიწადს ჩემპიონი გახდა (ახალგაზრდებს შორის) 1994 წელს კი, მსოფლიოს ჩემპიონობა რომ მოიპოვა ბრაზილიამ (დიდებში), იმ 85 წლის ახალგაზრდული ნაკრებიდანაც იყვნენ შიგ ფეხბურთელები. რა მოუვიდა ამასობაში ქართულ ფეხბურთს? — პასუხი ერთია, ქართული ფეხბურთი უსაშველოდ ჩამორჩა.

ჩამოვრჩით არა მარტო ფეხბურთის დონით, მწვრთნელთა დონითაც. ამდაცაა, ხშირად რომ ისმის საფეხბურთო საქართველოში — ტაქტიკა არ გაგვაჩნია და წავაგებთ, აბა, რა იქნებაო.

მწვრთნელს თავის თავზე გაცილებით მეტი მუშაობა მართებს, ვიდრე ფეხბურთელს. ახლა მოდაშია ნოდარ ახალკაცის მაგალითის მოყვანა — ექიმიც იყო, ფსიქოლოგიც, ფეხბურთელიც და დამრიგებელიცო. ფარსადანოვიჩი ბევრს კითხულობდა, იწერდა, ეკითხებოდა და შედეგიც საკადრისი მიიღო.

აი, თანამედროვე ქართველი მწვრთნელები კი ცოტას მუშაობენ თეორიულად. გუნდის მომზადება მარტო სარბენბილიკებზე ანაც მოედანზე ბურთით ან უბურთოდ როდი ხდება. გუნდის მომზადება და წვრთნა კარგა მოზრდილი ხათაბალაა, ერთად შერწყმული ტაქტიკური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და წმინდა საფეხბურთო მეცნიერებები, ამას კი ყველა ვერ მოახერხებს.

სსრკ საფეხბურთო სივრციდან მოუმზადებლად გამოსვლამ მრავალ პრობლემასთან ერთად უმაღლესი სამწვრთნელო სკოლის უქონლობაც დაგვიტოვა. სპეციალისტების მომზადება წელიწადში ერთი-ორი კაცის საზღვარგარეთ მივლინებით ვერ გადაიჭრება. ერთი ან ორი კარგი დამრიგებელი ქართულ ფეხბურთს ვერ უშველის, საქმის არსი მასობრიობაშია. ჩვენი სიდუხჭირიდან გამომდინარე, უცხოეთში კანტიკუნტად ხალხის გაშვებას ისევ ჩვენში უმაღლესი სამწვრთნელო სკოლის გახსნა სჯობს და რახან მეთოდისტების და თეორეტიკოსების ნაკლებობას განვიცდით, უცხოეთიდან მოვიწვიოთ ეს ხალხი. ეს, კომპეტენტური პირების განცხადებით, არც ისე ძვირი დაგვიჯდება. დროის განმავლობაში კი ადგილზევე ქართული ძალებით შევძლებთ მწვრთნელთა სწავლებას.

მწვრთნელთა მომზადების პრობლემა მნიშვნელოვანი რამაა საფეხბურთო საქართველოში. „სარბიელში" სტუმრობისას „დინამოს" დირექტორატის წევრებმა თქვეს, რომ სპორტის აკადემიის რექტორ ომარ გოგიაშვილთან ჰქონდათ მწვრთნელთა მომზადების შესახებ საუბარი და თუ ეს საუბრად არ დარჩება, ამას რა სჯობს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# გერმანელები OM-ს პატივს სცემენ

*როგორც იცით, უეფას თასზე საფრანგეთის „მარსელი“ გერმანულ „ვერდერს“ შეხვდა. ორთაბრძოლის გამო „მარსელის“ გერმანელ კარის დარაჯ ანდრეას კეპკეს, პირველად მიეცა საშუალება, სამშობლოს დატოვების შემდეგ გერმანული გუნდის წინააღმდეგ ეთამაშა. გერმანელი და ფრანგი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშიც ყველაზე მეტად ის მოექცა „ოლიმპიკის“ ბრემენში სტუმრობისას. დღეს გთავაზობთ „მანშაფტის“ აწ უკვე ყოფილი მეკარის მონოლოგს, რომელიც „ფრანს-ფუტბოლში“ დაიბეჭდა. ამ ინტერვიუში კეპკე გერმანიის ნაკრებსა და „მარსელზე“ საუბრობს.*



მარსელის „ოლიმპიკი“ ანდრეას კეპკეს საფეხბურთო კარიერაში ძლიერესი კლუბია. გერმანელი მეკარეც თავგამოდებით თამაშობს, თუმცა საუკეთესო ფორმისგან რომ შორსაა, ესეც ნათელია

–დღესდღეობით ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების უმეტესობას არ ვიცნობ, რადგან მათთან არასოდეს მითამაშია. გადაწყვეტილება, გერმანიის სახელით აღარ გამოვსულიყავი, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივიღე. ამ დროს მარტო ჩემი აზრი გავითვალისწინე, ერიხ რიბეკის პიროვნებას არაფერზე არ მოუხდენია გავლენა. მას საერთოდ არ ვიცნობ, მასთან ტელეფონითაც არ მისაუბრია. ნაკრებთან ურთიერთობის გაწყვეტა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებიდან სამი-ოთხი კვირის მერე დავაპირე, რის შესახებაც ბერტი ფოგტსს ტელეფონით ვაცნობე. ყველივე ეს ხორვატებთან ჩვენი მარცხის შემდეგ მოხდა, ოღონდ კარგა ხანმა გაიარა, რადგან მაშინ მეტად დათრგუნული ვიყავი და არაფერზე ფიქრი არ შემეძლო. არადადეგებზე კი ბევრი რამ გავაანალიზე და გერმანიის ნაკრების დატოვება გადავწყვიტე.

–რა თქმა უნდა, ჩვენების ყველა თამაშს ვადევნებ თვალყურს, ოღონდ მხოლოდ როგორც გულშემატკივარი. საშუალება თუ მომეცა, არც ამ მატჩებზე დასწრებაზე ვიტყვი უარს. როცა ოლივერ ბირჰოფს უკანასკნელად ველაპარაკე, წარმატება ვუსურვე. ნაკრების წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნება მაინც მინდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ექვსს ან შვიდს თუ ვიცნობ.

–მასმედია ჩემს საქმიანობს კვლავაც ადევნებს თვაყურს (საუბარია გერმანელ ჟურნალისტებზე). მათ ჩემი არც კარგი მოეპარებათ და არც ცუდი. მართალია, გაზეთებში ყოველდღე არაა ჩემი სურათი, მაგრამ ჩემებურები „მარსელს“ ყურადღებას მართლაც არ აკლებენ. ვფიქრობ, OM-ს გერმანიაში დიდ პატივს სცემენ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მის ყველა მოთამაშეს არ იცნობენ, იციან — ამ გუნდში ბევრი ნაკრების წევრი და ცნობილი ფეხბურთელები არიან.

–„მარსელს“ ყოველთვის ჰყავდა დიდი ფეხბურთელები, განსაკუთრებით ბერნარ ტაპის დროს, რაც ჩვენთან შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მათ გერმანელი ვარსკვლავიც კი გადაიბირეს — რუდი ფოლერი. ჩემს აქ მოსვლამდე საკმაოდ კარგად გავიგე რაც ტაპის შეემთხვა, მაგრამ იმ პიროვნებებთან საუბრებმა, რომლებსაც „მარსელთან“ ოდესმე კავშირი ჰქონიათ, გადამაწყვეტინა ამ ნაბიჯის გადადგმა. ყველა იმ ფანტასტიკურ და ფანატიკურ მაყურებელზე მიამბობდა, ამ კლუბს რომ ჰყავს. მარსელში წასვლამდე ვერაფრით მოვახერხე რუდისთან დალაპარაკება, რადგან ის ან დასასვენებლად იყო წასული, ანაც უამრავი საქმე ჰქონდა ლევერკუზენში, სადაც ფიოლერად მუშაობს (იცინის). თუმცა მისი ან სხვა ვინმეს თუნდაც უარყოფითი აზრი გადაწყვეტილებას ვერ შემაცვლევინებდა, მხოლოდ ამ ქალაქსა და გუნდზე მსურდა მეტის გაგება.

–გულახდილად გეტყვით, მარსელში ჩამოსვლით ძალიან კმაყოფილი ვიყავი და ვარ კიდეც. საკმაოდ მალე შევეგუე ყველას და ყველაფერს. ქალაქიც ძალიან მომეწონა. რაც მთავარია, იორდან ლეჩკოვთან მშობლიურ ენაზე შემეძლო ლაპარაკი. სხვებთან კი ინგლისურს ვიყენებდი. თუ გუნდში ენობრივი ბარიერის გამო არანაირი პრობლემა არ მქონია, სამაგიეროდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან გამიჭირდა. ამიტომაც დავიწყე ფრანგულის შესწავლა. მსოფლიოს ჩემპიონატის დროს აღარ მიმეცადინია, მაგრამ ახლა ისევ ვაგრძელებ ამ რთული და ლამაზი ენის დაუფლებას.

...მიუხედავად დღეს კლუბში არსებული მძაფრი კონკურენციისა, მაინც მოხარული ვარ, რომ აქ დავრჩი და არსად წავედი. ასეთი სიტუაცია ყველა გუნდშია. ხანდახან სტეფანი (პორატო) თამაშობს, ხანდახან მე... ამას წინათ როლან კურბისმა ჩემზე თქვა, ფორმაში არ იყოო, მაგრამ მე საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ. ჩემპიონატშიც და უეფას თასზეც დაუმარცხებლად ვასპარეზობთ, ჰოდა, ეს პირველ ყოვლისა, მცველებისა და მეკარეების დამსახურებაა. ყველა მატჩში მშვენივრად ვთამაშობ და ჩემი თანაგუნდელებიც საუკეთესოდ ირჯებიან. ასე რომ, იმედი მაქვს, წლეულს ან საფრანგეთის ჩემპიონატის ოქროს მედლებს დავეუფლებით, ანაც უეფას თასს. თუმცა ორივე ფრონტზე გამარჯვება უფრო სასახელო და სასიხარულო იქნება.

თარგმნა ბაბი გურულმა

## შვეიცარია

XV ტური

**გრასჰოპერი 4:1 სიონი**

1:0 დე ნაპოლი (35), 2:0 კომიზეტი (66), 3:0 თურქილმაზი (83), 3:1 ტოლოტი (84), 4:1 ტიკვა (87)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, მაცარელი, გრენი, კრისტი (ბერნერი 62), ტიკვა, ესპოზიტო (მანინი 70), ტარარახე, კომიზეტი (კაბანასი 78), დე ნაპოლი, თურქილმაზი

მეთხუთმეტე ტურის ეს მატჩი, წესით და რიგით, კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ სამშაბათს შედგა. მიზეზი „გრასჰოპერის“ მშობლიურ სარბიელ „ჰარდთურმზე“ არსებული არასათამაშო პირობები იყო. ბოლო დროს თურმე მოედნის მწვანე საფარის მდგომარეობა ძალიან გაუარესებულა და სტადიონის მესვეურებს გადაუწყვეტიათ, წლეულს დარჩენილი სამი საშინაო თამაში „კალიებს“ ციურიხის სხვა არენაზე კერძოდ კი „ლეტციგრუნდზე“ ჩაატარებინონ. გარდა ამისა, „ჰარდთურმის“ ხელმძღვანელები იძულებითი შესვენების მაქსიმალურად გამოყენებას აპირებენ და ნაგებობის მცირე რეკონსტრუქცია განუზრახავთ.

ამ მატჩში არც მიხეილ ყაველაშვილს უთამაშია და არც გიორგი ნემსაძეს. ყაველაშვილი სათადარიგოებში იყო, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კი მათ შორისაც ვერ ვიხილეთ. ამის მიზეზი ტრავმა ნამდვილად არაა, ეტყობა, ნემსაძე და კლუბის მთავარმა მწვრთნელმა როლფ ფრინგერმა ვერა და ვერ გაარკვიეს ურთიერთობა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, იგი როგორც წარიმართებოდა, ალბათ, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. „კალიებმა“ დებიუტშივე ხელთ იგდეს უპირატესობა და შეხვედრის ბოლომდე აღარც გაუშვიათ ხელიდან. ანგარიში 35-ე წუთზე დე ნაპოლიმ გახსნა საშუალო მანძილიდან ძლიერი დარტყმით. გოლამდე ერთი წუთით ადრე კი მასპინძლებმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს. თურქილმაზის ძლიერად დარტყმული ჯარიმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ბურთი კრისტს მიუვიდა, ამან კი წაქცეულ მეკარეს ვერ ააცილა. პირველ ტაიმში „გრასჰოპერმა“ მეტად ვეღარ იხეირა. მეორე ნახევრის ბოლო 25 წუთში კი მასპინძლებმა კიდევ სამჯერ შეაგდეს, ამას სტუმრებმა ერთადერთი გოლით უპასუხეს. გატანილ გოლებს შორის ყველაზე ლამაზი თურქილმაზისა აღმოჩნდა. თურქული წარმოშობის შვეიცარიელი მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და „სიონის“ მეკარე ანსიუ მესამედ დაამწუხრა.

მატჩის შემდეგ ფრინგერი კმაყოფილებას ვერ ფარავდა: „მართალია, არც პირველი ტაიმი იყო ცუდი, მაგრამ მეორე დიდებული გახლდათ. მეტოქეს ძალიან მაღალი ტემპი შევთავაზეთ და ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს, ეს ტაბლოზეც ნათლად აისახა.“

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 15 | 10 | 4 | 1 | 30:18 | 34 |
| გრასჰოპერი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:18 | 26 |
| ქსამაქსი | 15 | 6 | 7 | 2 | 24:16 | 25 |
| სენტ გალენი | 15 | 7 | 3 | 5 | 28:21 | 24 |
| ლოზანა | 15 | 6 | 5 | 4 | 24:28 | 23 |
| ციურიხი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:14 | 21 |
| ბაზელი | 15 | 6 | 3 | 6 | 13:20 | 21 |
| ლუგანო | 15 | 4 | 5 | 6 | 26:26 | 17 |
| სიონი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:25 | 17 |
| ლუცერნი | 15 | 3 | 5 | 7 | 16:22 | 14 |
| იანგ ბოისი | 15 | 2 | 4 | 9 | 23:26 | 10 |
| არაუ | 15 | 2 | 4 | 9 | 22:32 | 10 |

# რა კარგია შინ

ორიოდ კვირის წინ უეფამ იუგოსლავიურ კლუბებს შინ თამაშის უფლება ჩამოართვა. შედეგად იუგოსლავიელებმა ნეიტრალურ მინდვრებზე უმასპინძლეს მეტოქეებს, ქვეყნის ნაკრებს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაში ჩაუვარდა ირლანდიასთან.

გუშინ უეფამ განაცხადა, რომ შესაძლოა, იუგოსლავიურ გუნდებს შინ თამაშის უფლება აღუდგინონ. საბოლოოდ ყველაფერი მომავალი კვირის დასაწყისში გაირკვევა. ისე კი, დიდი შანსია, ბელგრადის „პარტიზანმა“, რომელიც თასების თასზე ასპარეზობს, იტალიის „ლაციოს“ შინ უმასპინძლოს.

იუგოსლავიის ნაკრები ირლანდიასთან ევროპის ჩემპიონატის გადადებულ შესარჩევ მატჩს 18 ნოემბერს გამართავს, ისევე როგორც ალბანეთი. საქართველოს ჯგუფელები 18 ნოემბერს საბერძნეთს უმასპინძლებენ.

## ამხანაგური მატჩი

**იაპონია 1:0 ეგვიპტე**

1:0 ნაკაიამა (25პ)

# სად, აფრიკაში?



საერთაშორისო არქივიდან

ბერტი ფოგტსი გერმანიის შეეშვა და სამყაროს დასალიერში, სამხრეთ აფრიკაში მიმავალ გზას დაადგა

გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, შესაძლოა უცხოეთის რომელიმე კლუბი გავწვრთნაო. „წინადადებები საკმაოდ მაქვს. ახლა ცოტა ხანი ვიფიქრებ, სიტუაციას ავწონ-დავწონი, აზრებს შევაჯერებ და იქითკენ გავეშურები, სადაც ყველაზე უკეთეს პირობებს შემომთავაზებენ“— თქვა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, ფოგტსმა. მანვე ისიც აღნიშნა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ძალიან ცუდად მოიქცა, ნაკრების მწვრთნელობიდან რომ გამათავისუფლეს, ამ საქციელმა გული დამწყვიტაო. „ნაკრების მწვრთნელად 19 წელიწადი ვმუშაობდი, ქვეყნის უპირველეს გუნდში ათი წელი ვთამაშობდი, 29-წლიანი ურთიერთობის შემდეგ კარს უცბად რომ მოგიჯახუნებენ, გულდასაწყვეტია აბა, რა არის? თითქოს ოჯახიდან გამაგდესო, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა“ — განაცხადა ბერტიმ.

გუშინ, გვიან ღამით სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გერმანელთა ექსთავკაცი სამხრეთი აფრიკის დედაქალაქ იოჰანესბურგს ესტუმრა იქაურებთან შესაძლო ვარიანტების განსახილველად. იმავე სააგენტოს ცნობით ბერტი ფოგტსი სავარაუდოდ ჩაუდგება კიდეც აფრიკის თასის გათამაშების ფინალისტ გუნდს სათავეში.

სხვათაშორის სამხრეთი აფრიკელები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უმწვრთნელოდ არიან — ნაკრების თავკაცს, ფრანგ ფილიპ ტრუსიეს, რომელიც ახლა იაპონიის გუნდს წვრთნის, შავი კონტინენტის შვილებთან კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოთიშვისთანავე უმთავრდებოდა.

# სადმე სხვაგან

შვედური გაზეთის „ექსპრესენის“ ცნობით ქვეყნის ნაკრების ყოფილი მეკარე თომას რაველი სხვა კლუბში გადაბარგებას აპირებს. იმავე გაზეთის განცხადებით, რაველის აშშ-ს მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბ „ტამპა ბეი მუტინიში“ შექმნილი პირობები არ აკმაყოფილებს და ადგილსამყოფელის გამოცვლა სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია. „ნოემბრის ბოლოს სხვა გუნდში გადავალ. იმასაც გეტყვით, რომ ახალი გუნდი ნამდვილად არ იქნება ამერიკული“ — განაცხადა 39 წლის რაველიმ, მეკარემ, რომელსაც შვედეთის ნაკრებში 143 მატჩი უთამაშია. მეკარის გუნდიდან წასვლა იმან გამოიწვია, რომ „ტამპა ბეი მუტინიმ“ პირველობაში თავი ვერაფრით გამოიჩინა, აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზე გავიდა. გარდა ამისა, თავად რაველის ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა მსაჯის შეურაცხყოფისთვის ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. „მრავალი ქვეყნის კლუბთან მაქვს კონტაქტი და ვიმედოვნებ, რომ შესაფერის გუნდში მოვხვდები“ — ესეც რაველის სიტყვებია. სხვათა შორის, იგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.



საერთაშორისო არქივიდან

ვეტერან თომას რაველის ამერიკაც მობეზრდა

# არენა — ჭეშმარიტი ამერიკელი

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდს ამიერიდან ახალი კაცი გაუძღვება — ბრიუს არენა, რომელიც ამ თანამდებობაზე სტივ სემპსონს შეცვლის. ეს უკანასკნელი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა ნაკრების თავკაცის პოსტს. სხვანაირად ვერც იქნებოდა — გუნდმა ჯგუფში სამივე შეხვედრა დათმო, თანაც ერთი ამერიკის პოლიტიკურ მეტოქე ირანის ნაკრებთან.

არენამ გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური დეტალებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, თუმცა ამერიკული პრესა სანდო წყაროებზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ მწვრთნელი სეზონში 50( ათას დოლარს მიიღებს.

სამწვრთნელო კარიერა არენამ ვირჯინიის უნივერსიტეტის გუნდში დაიწყო და მასთან ერთად ხუთი სხვადასხვა ტიტულიც მოიპოვა. შემდეგ 47 წლის მწვრთნელმა უკვე პროფესიულ ფეხბურთში მოსინჯა ძალები და „DC იუნაიტედს" ჩაუდგა სათავეში. მისი მოღვაწეობა აქაც საკმაოდ წარმატებული გამოდგა, ორჯერ მოიპოვა უძლიერესის ტიტული „მეიჯორ სოკერ ლიგსში", ხოლო გასულ კვირას გუნდმა სულ ბოლოს წაიფორხილა — ლიგის თასის ფინალში ჩიკაგოელებთან დამარცხდა 0:2.

არენა აშშ-ს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ესაუბრა . მან განაცხადა, რომ პირველ რიგში გუნდის თითოეულ წევრთან დაამყარებს იდეალურ ურთიერთობას, ოღონდ ეს ყველაფერი უმკაცრესი დისციპლინის ფონზე მოხდება და დაამატა, სწორედ ეს ორი ფაქტორია ნაკრების ფსიქოლოგიური მზადყოფნის მთავარი გარანტიო.

ამის შემდგომ არენამ უფრო დაწვრილებით ისაუბრა უახლოესი მომავლის გეგმებზე. კერძოდ მან განაცხადა:

— აუცილებლად გავესაუბრები ფეხბურთელებს, მათაც, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იყვნენ და ასე ცუდად იასპარეზეს. ამით მათ უკეთესადაც გავიცნობ და თითოეულის აზრსაც შევიტყობ, ვინაიდან ვთვლი, რომ როგორც ფეხბურთელებმა უნდა მოისმინონ და გაიზიარონ მწვრთნელის აზრი, ასევე პირიქით — მწვრთნელმაც აუცილებლად უნდა გაიგოს გუნდის წევრთა პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თუ შევატყვე, რომ ისინი კვლავაც მზად არიან, ღირსეულად დაიცვან ნაკრების ღირსება, ყოველ მიზეზ გარეშე დავტოვებ გუნდში, ნიჭიერი მოთამაშეები ნაკრებს მიღმა არ უნდა დარჩნენ.

თუმცა არენამ ისიც აღნიშნა, სულ მალე გუნდში ძალიან ბევრი ახალი სახელი გამოჩნდებაო. როგორ აპირებს იგი „ძველი გვარდიის" შენარჩუნებას და ახალი ფეხბურთელების მიწვევასაც, ამაზე არაფერი უთქვამს.



ბრიუს არენა

ამერიკელები გუნდში ახალი თავკაცის მისვლის შემდეგ პირველ მატჩს 6 ნოემბერს გამართავენ სანხოსეში, სადაც ამხანაგურად გაეჯიბრებიან ავსტრალიის ნაკრებს, ხოლო მომავალი წლის იანვარში ფიფას კონფედერაციის თასის გათამაშებაში ჩაერთვებიან. ამ ტურნირის კენჭისყრა უკვე ჩატარდა და გაირკვა, რომ ჯგუფში ამერიკელებთან ერთად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული გუნდიც იქნება.

— კონფედერაციის თასზე გასამარჯვებლად ნამდვილად არ მივდივართ. სიმართლე რომ ვთქვა, ამის ძალა ჯერ არ შეგვწევს. ჩვენი მიზანი ახალი ფეხბურთელების გამოცდა, მათი გუნდის გამოცდილ წევრებთან შეთამაშება იქნება, თანაც მეტოქეებიც საკმაოდ ძლიერი გვეყოლება, არაფერს ვამბობ ბრაზილიელებზე — აღნიშნა არენამ.

პრესკონფერენციაზე გამოსვლა, როგორც ჭეშმარიტ ამერიკელს შეეფერება, მწვრთნელმა ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა:

— დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი წინამძღოლობით ნაკრები ბევრს მიაღწევს. რაშიც, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაძლევას და იაპონია — კორეაში წარმატებულ გამოსვლას ვგულისხმობ. სწორედ ეს არის დღესდღეობით ჩემი უმთავრესი ამოცანა. ხშირად მეკითხებოდნენ, აქვს თუ არა ამის შანსი დიდ ფეხბურთში ახალფეხშედგმულ ამერიკის ნაკრებს და გააჩნია თუ არა პოტენციალი ანუ ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა. აი, ჩემი მუდმივი პასუხიც: — უყურეთ „მეიჯორ ლიგის" თამაშებს და ყველაფერი ნათელი გახდება. ამჟამად აშშ-ს სხვადასხვა კლუბში ბევრი ძლიერი ახალგაზრდა ბურთაობს, მთავარია, მათი შესაძლებლობები სათანადოდ გამოვიყენოთ, მაქსიმალურად შევამციროთ ამერიკელ ფეხბურთელთა საზღვარგარეთ მიგრაცია და მერწმუნეთ, საქმის ნახევარი გაკეთებული იქნება.

ნოდარ ძასრაძე

# ჰოლანდია ბელგიას ჯობნის

ჰოლანდიასა და ბელგიაში აქედანვე ემზადებიან ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც 23 დღეს — 10 ივნისიდან 2 ივლისამდე გასტანს. კერძოდ, ტურნირის ორგანიზატორები ევრო 2000-ის დირექტორის ალან კურტისის თავკაცობით იმ სტადიონების მზადება — რეკონსტრუქციას იწყებენ, რომლებზეც კონტინენტის პირველობის 31 მატჩი უნდა გაიმართოს.

ჯერ კიდევ აგვისტოში, ჰოლანდიურ და ბელგიურ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ უეფა უკმაყოფილოა სტადიონების მდგომარეობით და დაჟინებით მოითხოვს მათ დროულად მიხედვას.

სამშაბათს როტერდამში გამართულ ორგანიზატორთა სხდომაზე, რომელსაც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, უმეტესწილად სწორედ სტადიონებსა და მათ მზადყოფნაზე იყო საუბარი. ამ სხდომაზე გაირკვა — გახსნის ცერემონიალს ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი უმასპინძლებს, ხოლო ფინალური მატჩი ჰოლანდიაში, ქალაქ როტერდამის სტადიონ „დე კუიპზე" გაიმართება.

თავის გამოსვლაში უეფას ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა განაცხადა, სტადიონები ერთი წლის განმავლობაში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში უნდა იყოსო.

ამის შემდეგ სიტყვა კურტისმა ითხოვა.

— ტურნირის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა კი სტადიონები, რეკონსტრუქციებს დაექვემდებარება და უეფას მოთხოვნებს სრულად უპასუხებს. ჯერჯერობით ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ბელგიის „შარლერუას" სტადიონია, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, იგი 1999 წლის მაისისთვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იქნება.

კურტისმა ისიც აღნიშნა, რომ სტადიონების მხრივ ჰოლანდიაში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე ბელგიაში. დედაქალაქური „ამსტერდამ არენა", „ფეიენოორდის" სარბიელი „დე კუიპი", სადაც გადამწყვეტი შეხვედრა ჩატარდება, არნჰემის „ჟელრედომი" და ეინდჰოვენის „ფილიპსი" უკვე მზად არიან, უმასპინძლონ ასეთ გრანდიოზულ და მნიშვნელოვან ტურნირს. რაც შეეხება ბელგიას, „შარლერუაზე" უკვე ითქვა, „ლიეჟისა" და „ბრიუგეს" სტადიონები მწყობრში გაისად, იანვარში ჩადგება, „მეფე ბუდევინი" კი სტუმრების მისაღებად მზად არის.

ერთი სიტყვით, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისთვის მზადება უკვე მთელი დატვირთვით დაიწყო.



ჯანფრანკო ძოლა ვიალის მოქმედებამ აავსირა

# ზეკრიტიკული

იტალიელი ჯანფრანკო ძოლა ჯერჯერობით ბოლოა „ჩელსის" იმ უამრავი ლეგიონერიდან, ამ ბოლო დროს კლუბის მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის გაკრიტიკება რომ დაიწყო. ძოლამ თანამემამულე ვიალის სელექცია დაუწუნა, ასევე ტაქტიკის შეცვლა ურჩია. „როცა ბრწყინვალე ფორმაში ხარ და არ გათამაშებენ, ანაც შეცვლაზე შედიხარ, უბრალოდ, გული გწყდება. კლუბში ცუდი ვითარებაა შექმნილი, ეს კი, ცხადია, შედეგებზე მოქმედებს" — განაცხადა ძოლამ. რამდენიმე დღის წინ ვიალი დანიელმა ბრაიან ლაუდრუპმაც გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ მცოდნოდა, რამდენ ხანს გავატარებდი სათადარიგოთა შორის, „ჩელსიში" ნამდვილად არ გადავიდოდიო.

გამოქვეყნდა სააგენტო „როიტერის" მიერ შედგენილი ევროპული კლუბების მორიგი კლასიფიკაცია. ლიდერთა სამეულში გერმანული, კერძოდ მიუნხენური კლუბები ჭარბობენ. პირველზე „ბაიერნია", მესამეზე — „მიუნხენ 1860", ხოლო მათ შორის სერია A-ს ლიდერი, ფლორენციული „ფიორენტინა" იმყოფება. ამ რეიტინგში საკუთარ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებისთვის მინიჭებული ქულების გარდა გუნდებს დამატებით ეწერებათ ქულები ევროტურნირებსა და ეროვნული თასის გათამაშებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

## საუკეთესო 20 გუნდი

| | | |
|---|---|---|
| 1. ბაიერნი | გერმანია | 103.75 |
| 2. ფიორენტინა | იტალია | 92.53 |
| 3. მიუნხენ 1860 | გერმანია | 88.57 |
| 4. ბორდო | საფრანგეთი | 88.54 |
| 5. მარსელი | საფრანგეთი | 85.75 |
| 6. რომა | იტალია | 85.15 |
| 7. ლაციო | იტალია | 84.65 |
| 8. პარმა | იტალია | 82.49 |
| 9. ინტერი | იტალია | 80.34 |
| 10. მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი | 79.96 |
| 11. მადრიდის რეალი | ესპანეთი | 79.74 |
| 12. იუვენტუსი | იტალია | 79.34 |
| 13. რაპიდი | რუმინეთი | 79.22 |
| 14. შახტიორი | უკრაინა | 79.15 |
| 15. დინამო | რუმინეთი | 78.50 |
| 16. მალიორკა | ესპანეთი | 78.26 |
| 17. სარაგოსა | ესპანეთი | 77.82 |
| 18. ასტონ ვილა | ინგლისი | 77.73 |
| 19. მილანი | იტალია | 77.26 |
| 20. უდინეზე | იტალია | 77.26 |

## რეიტინგში ბოლო ხუთ ადგილზე მყოფი გუნდი

| | | |
|---|---|---|
| 370. კლუჟის უნივერსიტატია | რუმინეთი | 17.37 |
| 371. პირეოსის ეთნიკოსი | საბერძნეთი | 16.68 |
| 372. სათუჰემპტონი | ინგლისი | 12.48 |
| 373. ტიუმენი | რუსეთი | 10.70 |
| 374. კოპენჰაგენი | დანია | 2.54 |

## ზედიზედ მოგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ცსკა | რუსეთი | 10 |
| პარტიზანი | იუგოსლავია | 10 |
| ლეხი | პოლონეთი | 8 |
| შახტიორი | უკრაინა | 7 |
| რუსენბორგი | ნორვეგია | 7 |

## სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ცსკა | რუსეთი | 10 |
| პარტიზანი | იუგოსლავია | 10 |

## წაუგებელი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| აიკ | შვედეთი | 16 |
| ოლბორგი | დანია | 11 |
| ცსკა | უკრაინა | 11 |
| ვისლა | პოლონეთი | 11 |

## სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| მიოლდე | ნორვეგია | 21 |

## ზედიზედ წაგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| კოპენჰაგენი | დანია | 6 |
| ტიუმენი | რუსეთი | 6 |
| სკა | უკრაინა | 5 |
| ნორჩიოპინგი | შვედეთი | 5 |
| შტაირი | ავსტრია | 5 |

## სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ტიუმენი | რუსეთი | 18 |

## ბოლო გამარჯვების შემდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| პრიკარპატიე | უკრაინა | 12 |
| კოპენჰაგენი | დანია | 11 |
| ბანიაში | უნგრეთი | 11 |

## სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ტიუმენი | რუსეთი | 19 |

## ბომბარდირები წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში

| | | |
|---|---|---|
| სიგურდ რუშფელდტი | რუსენბორგი | 27 |
| ოლეგ ვერეტენიკოვი | როტორი | 22 |
| იოსტეინ ფლო | სტრომსგოდსეტი | 19 |
| რუნე ლაგნე | ტრომსო | 19 |

## ჩემპიონატში გოლების საშუალო მაჩვენებელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3.65 | 12. ჰოლანდია | 2.85 |
| 2. დანია | 3.32 | 13. ჩეხეთი | 2.76 |
| 3. იუგოსლავია | 3.13 | 14. ავსტრია | 2.69 |
| 4. ბელგია | 3.12 | 15. უკრაინა | 2.65 |
| 5. რუმინეთი | 3.12 | 16. შვედეთი | 2.64 |
| 6. გერმანია | 3.04 | 17. რუსეთი | 2.54 |
| 7. უნგრეთი | 2.99 | 18. საფრანგეთი | 2.48 |
| 8. საბერძნეთი | 2.96 | 19. პორტუგალია | 2.39 |
| 9. პოლონეთი | 2.94 | 20. ესპანეთი | 2.37 |
| 10. თურქეთი | 2.89 | 21. იტალია | 2.27 |
| 11. შვეიცარია | 2.88 | 22. ინგლისი | 2.25 |
| | | 23. შოტლანდია | 2.14 |

# ...ოვატორი ...ტალიელი



არიგო საკი

...პანეთის 1996 წლის ჩემპიონმა და თა-... მფლობელმა მადრიდის „ატლეტიკომ" ...ო ტურში საშინელი მარცხი განიცა-... „მალიორკასთან", წაგების შემდეგ კი ...ბის იტალიელმა მწვრთნელმა არიგო ...მ განაცხადა, გუნდში ძირფესვიან ცვ-...ლებებს მოვახდენო. „ძალიან ცუდად ...მაშეთ. ასე ვერაფერს მივაღწევთ, ვე-...ბით, მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. ...რდებით, რომ საგრძნობ ცვლილებებს ...ახდენ" — თქვა საკიმ. ცნობისთვის ... სეზონის წინ საკიმ რვა ფეხბურთელი ...და, ორი ითხოვა, ცხრა მოთამაშე კი ...ახსენა.

# ...აზრზე მოსული

...საფრანგეთის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ისტორიაში, ალბათ, ...რთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთის ტურნირად შევა. იქ იყო ყველაფერი, ... აუცილებელია ასეთი დონის შეჯიბრებისათვის. იყო დაძაბულობა, ...ბრწყინვალე თამაშები, შესანიშნავი გულშემატკივრობა, ერთი სიტყვით, ...ყველაფერი, რაც ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატებს უნდა ახასიათებდეს. ...გრამ იყო ცუდიც. საბედნიეროდ, არ ყოფილა ადამიანთა მსხვერპლი, ...უმცა გერმანელი გულშემატკივრობის დაუდევრობის გამო სავსებით ...შესაძლებელი გახლდათ, ასეთი რამ მომხდარიყო.

...ერთ-ერთი მატჩის შემდეგ აბობოქრებული გერმანელი გულშემატკივრების ...აწყნარებლად ტურნირის ორგკომიტეტმა სამართალდამცავებს მიმართეს, ...რომელთაც შეძლეს ქომაგთა დაშოშმინება, მაგრამ ერთ მომენტში გერმანელმა ...ვარტყა პოლიციელს. იგი წაიქცა, ავისმქმნელმა ისარგებლა ფრანგის ...ნელო მდგომარეობით და უმოწყალოდ სცემა. პოლიციელი მძიმე მდგომა-...რეობაში იყო, როცა საავადმყოფოში მიიყვანეს.

...ალე მომხდარს ნათელი მოეფინა. მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულამდე ...აკავეს სამართალდამრღვევი კარლ ჰაინც ელშნერი, თუმცა ამით კომაში ...ვარდნილ დანიელ ნიველს არაფერი ეშველა. საფრანგეთის სასამართლომ ...განიხილა ელშნერის საქციელი და საკადრისად დასაჯა, თან საფრანგეთში ...ყველაც სამუდამოდ აუკრძალა. კარლ ჰაინც ელშნერს გერმანელებმაც არ ...აპატიეს რამე — საფრანგეთის ქალაქ დუაის ციხეში გატარებული რამ-...დენიმე დღის შემდეგ სამშობლოში, სასამართლომ მას საშინაო პატიმრობა ...მიუსაჯა ორი თვის ვადით.

...გუშინ ელშნერის სასამართლო კიდევ ერთხელ უნდა გამართულიყო, რადგან ...უკანასკნელმა მოასწრო და აპელაცია დროზე შეიტანა. ძალიან საეჭვოა, ...ელშნერს სასჯელი შეუმსუბუქონ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ადვოკატები ...დამნაშავე... ბოროტმოქმედის საქციელის გამართლებას ძალიან ცდილობენ.

...დღესდღეობით, როცა ელშნერი აპელაციის პასუხს ელის, დაზარალებული ...დანიელ ნიველი გამოჯანმრთელდა. 43 წლის პოლიციელი საავადმყოფოდანაც ...გაეწერა და უგონო მდგომარეობაში ყოფნისას რაც მასზე იწერებოდა, ...ყველაფრის გაცნობაც მოასწრო. ისე, არაფერი ახსოვს, თუმც ის კი ...აღფრთოვანებულად აღნიშნა, თავს ძალიან ბედნიერად, უბედნიერეს კაცად ...ვგრძნობ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონობა გამოჯანმრთელების შემდეგ, ...უგონო მდგომარეობაში ყოფნის მერე რომ შევიტყვეო.

— ბევრი გულშემატკივარი, ალბათ, გულისფანცქალით ელოდა ქვეყნის ...ნაკრების ყოველ მატჩს, ქომაგები ძალიან ნერვიულობდნენ. მე კი მათთან ...შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვიყავი — ამ ქვეყნისა არაფერი ...მესმოდა, ხოლო როცა აზრზე მოვედი, ჩვენი გუნდი უკვე გაჩემპიონებულიყო ... სიცილით ამბობდა ნეველი.



REUTERS ბარსელონიდან

ალბათ, არ გაგიჭირდებათ ფოტოზე ასახული პილოტის ცნობა, ...თუმცა არაა გამორიცხული არც გეცნოთ.

მას ისეთივე კავშირი აქვს ავტოსპორტთან, როგორც ვთქვათ ...მსოფლიოს ჩემპიონ მიხაელ შუმახერს ფეხბურთთან.

„როიტერის" ფოტოზე ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი, „ბარსელონას" თავდამსხმელი ბრაზილიელი სონი ანდერსონია ...ასახული. ეტყობა კატალონიელთა მეგოლეს შესანიშნავი ავტომრბო-...ლი, თანამემამულე აირტონ სენა მოაგონდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. X ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვერდერი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შალკე — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| აინტრახტი — ბაიერნი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| მიუნხენ 1860 — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| შტუტგარტი — ბოხუმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰერტა — ნიურნბერგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** II ბუნდესლიგა. XII ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი — ურდინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ვატენშაიდი — გიუტერსლო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ჰანოვერი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კიოლნი — კიკერსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მაინცი — ობერჰაუზენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| არმინია — ბერლინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 1 ნოემბერი | | | |
| კარლსრუე — ფიურტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ზტ. პაული — კოტბუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ულმი — ფორტუნა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. XI ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოვენთრი — არსენალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| დერბი — ლიდსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ევერტონი — მანჩესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ლესტერი — ლივერპული | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| ნიუკასლი — ვესტ ჰემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| მიდლსბრო — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 2 ნოემბერი | | | |
| ტოტენჰემი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. XVII ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ბირმინგემი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბრედფორდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბერი — უოტფორდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გრიმსბი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ოქსფორდი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტ ვეილი — შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სვინდონი — ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტრანმერი — სტოკპორტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვულვერჰემპტონი — ბარნსლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** XI ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლანსი — მეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პსჟ — ოსერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სტრასბური — ბორდო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტულუზი — რენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნანსი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| სოშო — მონპელიე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია A. VII ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარმა — ფიორენტინა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რომა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვენეცია — ბოლონია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ემპოლი — პერუჯა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ინტერი — ბარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| პიაჩენცა — მილანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| სალერნიტანა — ლაციო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვიჩენცა — კალიარი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია B. VIII ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრევიზო — რეჯინა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ატალანტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჩეზენა — პესკარა | 3,4 | 2,8 | 2,1 |
| კრემონეზე — ლეჩე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ფ. ანდრია — კოევო | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ჯენოა — კოზენცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ლუკეზე — ტორინო | 3,6 | 2,8 | 2,0 |
| რეჯანა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,8 |
| ტერნანა — ნაპოლი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ვერონა — რავენა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** VIII ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ალავესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბარსელონა — სოსიედადი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბეტისი — სალამანკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სარაგოსა — ვალენსია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რასინგი — სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ესტრემადურა — რეალი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 1 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვილიარეალი — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** II დივიზიონი. X ტური

31 ოქტომბერი — 1 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბადახოსი — მალაგა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ოსასუნა — ლეგანესი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ერკულესი — მერიდა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბარსელონა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ალბასეტე — ორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტოლედო — სევილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — კომპოსტელა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სპორტინგი — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლას პალმასი — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მალიორკა B — ლოგრონიესი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ატლეტიკო B — რაიო ვალეკანო | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** IX ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — მარიტიმუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბენფიკა — ლეირია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| რიუ ავე — ბეირა მარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პორტუ — სალგეირუში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ამადორა — ფარენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| აკადემიკა — გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| შავეში — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სეტუბალი — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კამპომაიორენსე — ბრაგა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**რუსეთის ჩემპიონატი.** XXX ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — ალანია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჟემჩუჟინა — ურალანი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| დინამო — კრილია | 1,7 | 3,6 | 2,0 |
| ლოკომოტივი — ბალტიკა | 1,4 | 4,0 | 2,2 |
| ზენიტი — ტიუმენი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ჩერნომორეცი — სპარტაკი | 2,5 | 2,2 | 2,5 |
| შინიკი — ცსკა | 2,9 | 2,4 | 2,0 |
| როტორი — ტორპედო | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** XI ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ტვენტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| კამბური — ბრედა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ფეიენოორდი — აზ 67 | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰერენვენი — ვიტესი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მაასტრიხტი — ტილბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეინდჰოვენი — სპარტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ნაიმეგენი — აიაქსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| უტრეხტი — როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვალვაიკი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**ბელგიის ჩემპიონატი.** XII ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მუსკრონი — შარლერუა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბრიუგე — გენკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ეკერენი — გენტი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| სენტ ტრიუდენი — სტანდარდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლომელი — ოსტენდე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — ლიერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბევერენი — აალსტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვესტერლო — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ჰარელბეკი — ლოკერენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**პოლონეთის ჩემპიონატი.** XIV ტური

30 ოქტომბერი — 1 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიძევი — ლეხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რაძიონკოვი — სტომილი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ამიცა — ზაგლებიე | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კატოვიცე — პოლონია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — ოდრა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბელხატოვი — პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვისლა — გურნიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| რუხი — ლკს | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** X ტური

30 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სამსუნი — ტრაბზონი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 31 ოქტომბერი | | | |
| ისთანბული — გაზიანთეფი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქარაბუქი — გალათასარაი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| 1 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ანთალია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ადანა — საქარია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქოჯაელი — ალთაი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — დარდანელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** XII ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი — ჰართსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| დანფერმლაინი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მოზერველი — აბერდინი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| კილმარნოკი — სელტიკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** XVI ტური

31 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუცერნი — ბაზელი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სერვეტი — ქსამაქსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 1 ნოემბერი | | | |
| არაუ — გრასჰოპერი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| სიონი — ლოზანა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლუგანო — იანგ ბოიზი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-10) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| ინგლისი (მე-11) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| იტალია (მე-7) | 22 და ნაკლები . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| ესპანეთი (მე-8) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| პორტუგალია (მე-9) | 22 და ნაკლები . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| ჰოლანდია (მე-11) | 25 და ნაკლები . . . 1,9; | 27 და მეტი . . . . 1,9 |
| ბელგია (მე-12) | 26 და ნაკლები . . . 1,9; | 28 და მეტი . . . . 1,9 |
| პოლონეთი (მე-14) | 22 და ნაკლები . . . 1,9; | 24 და მეტი . . . . 1,9 |
| თურქეთი (მე-10) | 23 და ნაკლები . . . 1,9; | 25 და მეტი . . . . 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ქალაქ კრაიოვას კლუბ „უნივერსიტატიას“ პრეზიდენტი ალექსანდრუ ბოკი თანამდებობიდან გადადგა. არადა, იგი კლუბის პრეზიდენტი სულ რაღაც სამი თვის წინ გახდა. ბოკმა თავისი ნაბიჯი გუნდში შექმნილი რთული ვითარებით და სამუშაო ატმოსფეროს არყოფნით ახსნა. „კლუბში კონფლიქტური სიტუაციაა. ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, გუნდის ხელმძღვანელებს და სპონსორებს შორის დაძაბული ვითარებაა, ასე კი მუშაობა არასდროს იქნება“ — განუცხადა ბოკმა კრაიოვას რადიოს. სეზონის წინ კრაიოველები იმედოვნებდნენ, რომ ჩემპიონატშიც და თასზეც წარმატებით იასპარეზებდნენ, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი თავდაყირა დადგა. 11 ტურის შემდეგ გუნდი მეთორმეტე ადგილზეა. „უნივერსიტატიას“ მწვრთნელი ილიე ბალაჩი თანამდებობიდან ერთი თვის წინ წავიდა. მანამდე მან მსაჯის და ერთი ჟურნალისტის ცემა მოასწრო. სხვათა შორის, 1994-95 წლების სეზონში, უეფას თასის გათამაშებაში, თბილისის „დინამომ“ „უნივერსიტატია“ ორჯერ დაამარცხა — თბილისში 2:0, კრაიოვაში კი 2:1.

**ანდორის** ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებით, ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს შინ კი არ მიიღებს, არამედ ესპანეთში. „ესტადი კომუნალი“, ანდორის უპირველესი სტადიონი, მხოლოდ 1250 გულშემატკივარს იტევს, მსოფლიოს ჩემპიონთა სტუმრობისას კი ბევრი მაყურებელი მოინდომებს სტადიონზე მისვლას. მაგალითად, პარიზში ანდორა რომ საფრანგეთს ეთამაშა, მატჩს 75 ათასი ქომაგი დაესწრო, ათი ათასით მეტი, ვიდრე მთლიანად ანდორის მოსახლეობა. რაც შეეხება იმას, თუ სად შეხვდება ანდორა საფრანგეთს, მასპინძლებმა ჯერჯერობით ორი სტადიონი შეარჩიეს — ბარსელონას ოლიმპიური, ანაც ერთ-ერთი სტადიონი კანარის კუნძულებზე. შეგახსენებთ, რომ ანდორა მსოფლიოს ჩემპიონებს ივნისში მასპინძლობს.

**შოტლანდიის** ლიგის თასის ფინალში 29-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა „სენტ ჯონსტონი“, რომელმაც ნახევარფინალში „ჰართსს“ მოუგო. 1969 წელს, ლიგის თასის გადამწყვეტ შეხვედრაში, „სენტ ჯონსტონი“ 0:1 დამარცხდა გლაზგოს „სელტიკთან“. ერთ თვეში ფინალში ისევ გლაზგოს კლუბს დაუპირისპირდება, ოღონდ „რეინჯერსს“. „ჰართსის“ 3:0 განადგურება სენტჯონსტონელებმა კანადელი ნიკ დასოვიჩის, „ჰართსის“ ექსმოთამაშის ალან პრესტონის და ჩრდილოირლანდიელი ჯორჯ ობოილის გოლების წყალობით მოახერხეს. 3:0 გამარჯვება ძალიან გაუხარდა კლუბის მწვრთნელ სენდი კლარკს, რომელიც ოთხი წლის წინ „ჰართსის“ თავკაცობამ გაათავისუფლა.

**საფრანგეთის** ჩემპიონ „ლანსს“ მცველი ვალერიენ ისმაელი დაემატა ინგლისური „კრისტალ პალასიდან“. 23 წლის ისმაელი ლონდონურ კლუბში „სტრასბურიდან“ გასული სეზონის დასაწყისში გადაბარგდა 4,5 მილიონ დოლარად, თუმცა პრემიერლიგაში მხოლოდ ცამეტჯერ ითამაშა, სეზონის მიწურულს კი მისი გუნდი სულაც გავარდა პრემიერლიგიდან. უიღბლობა ახალ სეზონშიც გაგრძელდა — ჯერ იყო და ისმაელმა ტრავმა მიიღო და შესაბამისად გამოაკლდა კიდეც გუნდს, გამოჯანმრთელებულს კი მწვრთნელ ტერი ვენეიბლზთან ურთიერთობა გაუუარესდა. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშის გადაბირება ლანსელებს 2,3 მილიონი დოლარი დაუჯდათ. „ლანსის“ მწვრთნელმა დანიელ ლეკლერკმა განაცხადა, შესაძლოა ისმაელი მომავალ შეხვედრაშივე ვათამაშოო. ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლანსი“ გასული სეზონის ვიცეჩემპიონ „მეცს“ ხვდება.

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, პრიმერა დივიზიონის კლუბ „ვალენსიას“ ფრანგი მცველი ალან როში მორიგ თამაშს არ გამოტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ტურში, სევილიის „ბეტისთან“ 5:1 მოგებული შეხვედრისას მოედნიდან გააძევეს. იმ შეხვედრაში, მსაჯმა როში იმიტომ გააგდო, რომ ამ უკანასკნელმა შვედ თანაკლუბელ იოაკიმ ბიორკლუნდთან ერთად უხეშად ითამაშა მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელის ბრაზილიელი დენილსონის წინააღმდეგ. მატჩის ვიდეოჩანაწერმა ნათლად აჩვენა რომ როში იმ შემთხვევაში უდანაშაულო იყო და შესაბამისად წითელი ბარათიც შეცდომით უჩვენეს. ჯერ-ჯერობით არაა ცნობილი დასჯიან თუ არა ბიორკლუნდს.

**ინგლისის**, კონკრეტულად ლიდსის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით, „ბრედფორდ სიტის“ თავდამსხმელი გორდონ უოტსონი ფეხბურთს რომ ჩამოშორდა, ამაში დამნაშავე „ჰადერსფილდ თაუნის“ მცველი კევინ გრეია. 1997 წლის 1 თებერვალს გრეი ისე ეუხეშა უოტსონს, რომ ამ უკანასკნელმა ფეხის ორმაგი მოტეხილობა მიიღო. შედეგად კი აგერ უკვე წელიწადნახევარია წესიერად ვერ უთამაშია. გრეი აქამდე დაუსჯელი იყო, მაგრამ ახლა მისი დანაშაული ამხილეს. მომავალი წლის დასაწყისში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი სასამართლოსთან შეთანხმების საფუძველზე გრეის განაჩენს გამოუტანს. ყოფილი ფეხბურთელის, ახლა კი მიმომხილველის ჯიმი ჰილის განცხადებით, გრეის უხეშობა ყველაზე მძიმე იყო, რაც კი მას ფეხბურთში მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე უნახავს.

**ინგლისური** კლუბები — „ტოტენჰემი“ და „ნიუკასლი“ ძლიერ არიან დაინტერესებულნი, გადაიბირონ დანიის ნაკრების მცველი, სორენ კოლდინგი. დანიური გაზეთის „ექსტრა-ზლადეტის“ ცნობით, „ბრონდბიუს“ 25 წლის მოთამაშეს ლონდონელები და ნიუკასლელები ამ რამდენიმე ხნის წინ შეხვდნენ. მართალია, „ტოტენჰემის“ თავკაცს ჯორჯ გრემს და „ნიუკასლის“ მწვრთნელ რუდ გულიტს ძალიან ძალიან სურთ, კოლდინგი ახლავე თავიანთ გუნდში იხილონ, მაგრამ ფეხბურთელი კლუბს მანამ არ დატოვებს, სანამ „ბრონდბიუ“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. „საიდუმლო აღარაა, მე რომ ინგლისურ კლუბში მსურს გადასვლა, მაგრამ ისიც კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, პრემიერლიგაში წლის ბოლომდე რომ ვერ ვითამაშებ“ — განაცხადა კოლდინგმა.

**ხორვატიის** ყოველდღიური გაზეთ „ვეჩერნი ლისტის“ ცნობით, ზაგრების „კროაციის“ თავკაცთა შეხვედრაზე კლუბის მწვრთნელი ზლატკო კრანჩარი გაათავისუფლეს. იგი შეცვალა ველმირ ზაიეცმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ საბერძნეთში მუშაობდა. სხვათა შორის, კრანჩარი და ზაიეცი თანაკლუბელები იყვნენ, როცა ზაგრების „დინამომ“ 1982 წელს იუგოსლავიის ჩემპიონატი მოიგო. „კროაციის“ მწვრთნელთა ცვლა იმის შედეგი გახლდათ, რომ კლუბი ჩემპიონთა ლიგაში უხეიროდ ასპარეზობს — სამიდან ორი თამაში წააგო, ამასთან ერთად გოლიც ვერ გაიტანა. „კროაცია“ ქვეყნის ჩემპიონატში პირველია და მთავარ კონკურენტ სპლიტის „ჰაიდუკსაც“ უსწრებს, მაგრამ ევროარენაზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. სხვათა შორის, ზაგრებელებმა ფრანგული „ბასტიადან“ ვეტერანი თავდამსხმელი არიან კოზნიკუ გადაიბირეს, ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა კი შესაძლოა გლაზგოს „სელტიკს“ მიჰყიდონ.

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ფილიპ ანზიანი ქვეყნის პირველობის მაჩანჩალას „სოშოს“ მწვრთნელად დაინიშნა. 37 წლის ანზიანმა ბოსნიელი ფარუკ ჰაჯიბეჯიჩი შეცვალა, რომელიც უშედეგობის გამო თანამდებობიდან კვირის ბოლოს გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ „სოშოს“ 10 მატჩიდან მხოლოდ ხუთი ქულა აქვს და პირველ დივიზიონში უკანასკნელ ადგილზეა.

**ჩინეთის** ერთ-ერთი მძლავრი კორპორაციის განცხადებით, ქვეყნის თასის გათამაშების მატჩი ინტერნეტით გადაიცემა. „შანხაი ვებტვ კო ლტდ“-მ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ დაგეგმილია „შანხაი შენხუასა“ და „ლეონგ ტიანრუნის“ შანხაიში გასამართი შეხვედრის ინტერნეტში პირდაპირი ტრანსლაცია. რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება ამ შეხვედრის ხილვა, ეს შემდეგ მისამართზე იქნება შესაძლებელი: webtv.sh.ca.

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



# ვახტანგ ქორიძე

მასზე წერილის წერას ერთი ფეხბურთის გადამკვდარი გულშემატკივარის მონაყოლით დავიწყებ, რომელიც ჩვეულებრივ საფეხბურთო კამათს მოჰყვა, წმინდად „ბალელშჩიკურს“ — ვინ ვის სჯობს, ვინ ვისი ჯილაა, რომელი ფეხბურთელი უფრო მეტს ნიშნავს გუნდისთვის, ხალხს ვინ უყვარს და ათასი ამგვარი. ჰოდა, იმ ფეხბურთზე გადამკვდარმა კაცმად ეს წამოიძახა მაშინ — ქორიძეს რომ დარტყმა ჰქონდა, ტყუილია, ძმაო. ერთხელ ისეთი დაარტყა, ბადიდან გამოვარდნილი ბურთი ლამის ცენტრამდე მიგორდაო... ყველანი დავეთანხმეთ მაშინ მას, მართლა ყუმბარასავით ურტყამდა ტუხა და იმიტომ.

საერთოდ, როცა 76-81 წლის დიდ გუნდზე („დინამოზე“) გიწევს კაცს წერა, სიფრთხილე გმართებს. აქ კნინობით და უფროობით გამოთქმებს უნდა მოერიდო, არავისზე უნდა თქვა მეტად დიდი, ანაც მეტად პატარა. დიდ გუნდში მუდამ დიდი ფეხბურთელები ირჯებიან. სხვა საქმეა, რომ ზოგი მეტად „ჩანს“, ზოგიც — ნაკლებად, ზოგის მანერა მეტად მოსწონს ხალხს, ზოგიც ამ „გამოჩენილთა“ ჩრდილში ექცევა-ხოლმე. ჰოდა, ტუხას, ისევე როგორც ბევრ მისნაირ ტყავის ბურთის ოსტატს, ასე მოუვიდა.

არადა, აგერ წინ ერთ-ერთი საფეხბურთო ცნობარი მიდევს, თბილისის „დინამოს“ შეტევა, მოეპოვებინა ბურთი და მიეცა იმათთვის, ვინც უკეთ იყო კარზე დაგეშილი. ასეთები კი მრავლად იყვნენ „დინამოში“ — ყიფიანი, ჩელებაძე, გუცაევი, მოგვიანებით შენგელია.

დაყენებული დარტყმა ჰქონდა ტუხას, ჰო-ჰო რა დარტყმა. თავისი გოლების უმეტესობაც შორეული დარტყმების ანაც ჯარიმების შემდეგ აქვს გატანილი. განა ბევრი გაგვახსენდება მისნაირი ქართველებს, დარტყმულით ლამისაა, ბადეს რომ გლეჯდნენ-ხოლმე. ამად თუ იყო, ქართველი კარიკატურისტები სალაღობოდ ფეხებზე ზარბაზანმიბმულს რომ ხატავდნენ ვახტანგ ქორიძეს.

ახლა, ამ გადასახედიდან, ერთი რამის არაღნიშვნაც არ იქნება — ტუხა მებრძოლი, მუდამ ჩახმახივით შემართული ფეხბურთელი იყო. არ არსებობდა მისთვის რიგითი მატჩი, სუსტი და ძლიერი მეტოქე, მას ასე სწამდა — მოედანზე ჯიგარი უნდა დაედო და ამითაც ერთი იშვიათთაგანია ქართველ მობურთალთა შორის.

ვახტანგ ქორიძის და „დინამოს“ გზები ორჯერ გადაიკვეთა. პირველად ეს 1969 წელს მოხდა. მაშინ „დინამოს“ გივი ჩოხელი წვრთნიდა და მან ჩამოიყვანა ბათუმიდან ტუხა. 20 წლის ქორიძემ იმავე წლის 25 ნოემბერს ითამაშა სადებიუტო შეხვედრა და... კვლავ ბათუმში დაბრუნდა. ხუთი სრული სეზონი ჩაატარა ქორათა ორ საფეხბურთო პოზიციაზე ითამაშოს კარიერის, თუნდაც სეზონის განმავლობაში.

9

მაშინდელი, ისევე როგორც ყველა დროის, თბილისის „დინამო“ შეტევას უხდიდა ხარკს. შემტევ ფეხბურთში თავისთავად დევს რომანტიზმის მოზრდილი მარცვალი, მაგრამ 70-იანი წლები ტოტალური ფეხბურთის ზეობის ხანაა და უკვე შემტევი ფეხბურთიც არა რომანტიზმზე, არამედ აგრესიაზეა დაფუძნებული. „დინამოს“ სათამაშო მანერასაც ყველაზე ნათლად ახალკაცის სიტყვები ასახავენ — „დინამო“ განწყობილია შემტევი ფეხბურთისთვის , შემადგენლობა შერჩეულია ისეთი, რომელიც განახორციელებს არჩეულ გეგმას: სამი თავდამსხმელის გარდა, დანარჩენებმაც, მათ შორის ნახევარმცველებმაც, უნდა განავითარონ გუნდის შემტევი ტენდენციები. მხოლოდ აგრესიულ ფეხბურთს შეუძლია გამარჯვების მოტანა. ქორიძის მანერას ყველაზე მეტად ეხამებოდა აგრესიული ფეხბურთი — ბრძოლა ხომ მისი სტიქია იყო, ბრძოლა ყველგან, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე.

ვახტანგ ქორიძის სანაკრებო კარიერა არ იყო შთამბეჭდავი. სულ ოთხი მატჩი ითამაშა — ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და შვეციის ნაკრებების წინააღმდეგ. აქაც გაიტანა ერთი გოლი ტუხამ.

# ჰო-ჰო, რას ურტყამდა?



წამიც და დააქუხებს ტუხა...

რიძემ ბათუმის „დინამოში“ და 1975 წელს კვლავ დააბრუნეს თბილისში (ამჯერად „დინამოს“ იაკუშინი და ახალკაცი ედგნენ სათავეში).

26 წელი ოქროს ხანაა ფეხბურთელის კარიერაში. ჰოდა, ტუხაც გაიხსნა. იმ ექვსი სეზონის განმავლობაში, რაც ქორიძე თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა, კაცს არ გაგახსენდება მისი თუნდაც ერთი ჩაგდებული თამაში. სტაბილურობა კი ფეხბურთელის კლასის პირველსაზომია. ითამაშო წლების განმავლობაში ერთ, გარკვეულ დონეზე ამას დიდი მონდომება უნდა, ცოდნა და ვარჯიში, ურომლისოდაც ვერაფერს მიაღწევს ფეხბურთელი, რაგინდ ნიჭიერიც არ უნდა იყოს ის.

ვახტანგ ქორიძეზე ერთის თქმაც შეიძლება — იგი უნივერსალური ყაიდის ფეხბურთელებს ეკუთვნოდა. ნახევარდაცვაში მის ჯიგრიან გარჯაზე უკვე ვთქვით. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რიგი შეხვედრებისა ქორიძემ დაცვის ცენტრშიც ჩაატარა. კარგადაც ჩაატარა. ცენტრალური ნახევარმცველი და წინა ცენტრალური მცველი მოედანზე ტერიტორიულად არიან ახლოს ერთმანეთთან, თორემ კარგა გვარიანი დიაპაზონი სჭირდება ფეხბურთელს,

მოს“ 1976 წლის სათასო ბატალიებს რომ ასახავს და ნათლად ჩანს, არც თუ ისე „უჩინარი“ ყოფილა ვახტანგ ქორიძე...

მეთევსმეტედფინალი — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ 1:1 (4:5 პენალტებით. ერთი პენალტი ქორიძემ შეაგდო)

მერვედფინალი — „დინამო“ — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 3:0 (49-ე წუთზე პირველი ბურთი ქორიძის ანგარიშზეა)

მეოთხედფინალი „დინამო“ — „კარპატი“ (ლვოვი) 2:1 (გამარჯვების გოლი ქორიძემ გაიტანა).

ამის შემდეგ იყო ნახევარფინალი „შახტიორთან“, იყო ფინალი „არარატთან“ და იყო სსრკ-ს პირველი თასი — „დინამოს“ ყველაზე ტიტულოვანი თაობის პირველი დიდი გამარჯვება. გამარჯვება, რომელშიც ლომის წილი დაიდო ბათუმის „დინამოდან“ სულ იმჟამად გადმოსულმა ვახტანგ ქორიძემ.

ტუხა მუშა ფეხბურთელების კატეგორიას მიეკუთვნებოდა. მოედნის ცენტრში სათამაშო სივრცეს რომ უქმნიან, ვთქვათ, მანუჩარ მაჩაიძისდარ ოსტატებს (ვისზედაც აგებდა მაშინდელი „დინამო“ თავის თამაშს). ფიზიკურად ძლიერ და ათლეტურ ქორიძეს უნდა ჩაეშალა მეტოქის

ეს მოსკოვურ მატჩში მოხდა, ჩეხეთის ნაკრებთან, საჯარიმოს კუთხეს მიუახლოვდა და მერე მისებურად დააქუხა, ყუმბარასავით, როგორც იცოდა, ისე.

ნაკრებში თამაშით არ დაუმახსოვრებია ქორიძეს ჩვენთვის თავი, არც სანაკრებო ტიტულებით, მაგრამ „დინამოს“ ზეობისას კი არაფერი დაჰკლებია ტუხას — არც თასი, არც ჩემპიონობა, არც პრიზიორობა. ეს არის, 13 მაისს აღარ იყო იქ დიუსელდორფში, სადაც მისი თაობა ქართული ფეხბურთის რაობას უხსნიდა საფეხბურთო ევროპას. მაგრამ ეს არ იყო ტუხას ბრალი, ეს ასაკის ბრალი იყო...

და ერთიც... კიდევ ოდესის „ჩერნომორეცთან“ ტუხას მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი გაიხსენა იმ ფეხბურთზე გადამკვდარმა კაცმა — გულშემატკივარმა. ღიმილით გაიხსენა — ცხრიანი ის იყოო. ვინ იცის, მაშინ რა ლოდი აწვა გულზე ვახტანგ ქორიძეს, საკუთარი დარტყმული და ჰაერში უშედეგოდ გაჭიმული გოგია რომ დაინახა, მაგრამ ახლა დროის ბურუსმა ის წყენაც გადაფარა, ვინ იცის, თვითონაც ღიმილით გაიხსენოს ყველაფერი.

ფეხბურთში სიტკბო მეტია, არა ტუხა?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

541. **ირაკლი ურუშაძე.** ბათუმი. ინჟინერი. 27 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. შოთა იამანიძე, 5. ვიტალი დარასელია
**გუნდი:** რამაზ ურუშაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

542. **თამუნა რუსიძე.** ბათუმი. სტუდენტი. 23 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. ალექსანდრე ჩივაძე
**გუნდი:** ოთარ გაბელია, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

543. **ლევან ჯანჩაველი.** თბილისი. ბიოლოგი. 38 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. დავით ყიფიანი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

544. **თამაზ ანიაშვილი.** გორი. მოსწავლე. 8 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

545. **თამაზ ანიაშვილი.** გორი. ინჟინერი. 55 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

546. **დევურ ტორაძე.** ინჟინერი. ხონი. 61 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
**გუნდი:** ვლადიმერ მარლანია, თენგიზ სულაქველიძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

547. **სოსო ბაბნიძე.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
**ფეხბურთელი:** 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
**გუნდი:** ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

548. **თეიმურაზ ქიქაძე.** ბათუმი. ტექნოლოგი. 50 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ნოდარ ახალკაცი
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

549. **ველის ყურაშვილი.** ცაგერი. იურისტი. 55 წლის. **მწვრთნელი:** 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

550. **პაატა თევზაძე.** ბათუმი. საქონელმცოდნე. 28 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
**ფეხბურთელი:** 1. ალექსნდრე ჩივაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მანუჩარ მაჩაიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
**გუნდი:** ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

551. **გიორგი ნასველიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 25 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

552. **ნიკა ნასველიშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 22 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

553. **ერიკ ნასველიშვილი.** თბილისი. მეცნიერ-მუშაკი. 60 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

554. **კახა მაზანაშვილი.** თბილისი. სტუდენტი. 24 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სერგო კოტრიკაძე, 4. ვახტანგ ქორიძე, 5. შოთა არველაძე
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვახტანგ ქორიძე, გოჩა მაჩაიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, ბორის პაიჭაძე, შოთა არველაძე

555. **ლაშა ახობაძე.** თბილისი. პოლიციელი. 23 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მანუჩარ მაჩაიძე
**გუნდი:** ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ფირუზ კანთელაძე, გოჩა მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, შოთა არველაძე

556. **თენგიზ ქანთარია.** თბილისი. უმუშევარი. 28 წლის. **მწვრთნელი:** 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
**ფეხბურთელი:** 1. მანუჩარ მაჩაიძე
**გუნდი:** დავით გოგია, თამაზ კოსტავა, ფირუზ კანთელაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა მაჩაიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა არველაძე

557. **კობა ქილაძე.** ქუთაისი. ფეხბურთმცოდნე. 59 წლის. **მწვრთნელი:** 1. მურთაზ ხურცილავა, 2. სოსო ფრუიძე, 3. გაიოზ დარსაძე
**ფეხბურთელი:** 1. ვალტერ გუჩუა, 2. მიხეილ აშვეთია, 3. რატი ალექსიძე, 4. გივი დიდავა, 5. დავით მუჯირი
**გუნდი:** დავით მამარდაშვილი, დიმიტრი პაპავა, ზვიად ჯელაძე, მალხაზ ჯინჭარაძე, ლევან მელქაძე, ვალტერ გუჩუა, კახა კვეტენაძე, რატი ალექსიძე, გიორგი შენგელია, მიხეილ აშვეთია, ლევან ხომერიკი

558. **რევაზ თათარაძე.** თბილისი. ექიმი. 45 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

559. **თამაზ ქათამაძე.** ქობულეთი. ინჟინერი. 47 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. რევაზ ძოძუაშვილი
**გუნდი:** ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

560. **ვადიმ ტურაშვილი.** ცხინვალი. ინჟინერი. 37 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
**ფეხბურთელი:** 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 38 სლავა მეტრეველი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვლადიმერ გუცაევი
**გუნდი:** დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, მანუჩარ მაჩაიძე

561. **ალეკო გუგუშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 16 წლის. **მწვრთნელი:** 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. გიორგი ქინქლაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5. სლავა მეტრეველი
**გუნდი:** ნიკა ტოგონიძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, მურთაზ შელია, ალექსანდრე ჩივაძე, ლევან კობიაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი

562. **ნათია შავგულიძე.** თბილისი. სტუდენტი. 17 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** ვლადიმერ მარლანია, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

563. **გიორგი ხუროშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 25 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
**გუნდი:** სერგო კოტრი კაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

564. **ემზარ ჯოჯიშვილი.** ცხინვალი. პედაგოგი. 36 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. თემურ მახარაძე, 3. გავრილ კაჩალინი
**ფეხბურთელი:** 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის სიჭინავა, 4. მიხეილ მესხი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
**გუნდი:** დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, მანუჩარ მაჩაიძე

565. **ირაკლი როდელაშვილი.** ცხინვალი. მძღოლი. 48 წლის. **მწვრთნელი:** 1. თემურ მახარაძე, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
**ფეხბურთელი:** 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
**გუნდი:** ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

566. **ნიაზ დანელია.** თბილისი. პედაგოგი. 60 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

567. **დემურ ფარჯაშვილი.** ქუთაისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 61 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. დავით ყიფიანი
**გუნდი:** სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

568. **ფრიდონ ფარჯაშვილი.** ქუთაისი. სტუდენტი. 26 წლის. **მწვრთნელი:** 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
**ფეხბურთელი:** 1. ბორის პაიჭაძე, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ვათანდილ ღოღობერიძე
**გუნდი:** დავით გოგია, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ილია დათუნაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, ავთანდილ ღოღობერიძე

569. **ახმათ ფარჯაშვილი.** ქუთაისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 30 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. რამაზ შენგელია
**გუნდი:** რამაზ ურუშაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

570. **დავით გოგაძე.** ქუთაისი. მოსწავლე. 17 წლის. **მწვრთნელი:** 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
**ფეხბურთელი:** 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
**გუნდი:** რამაზ ურუშაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# „სარბიელის" მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

---

### საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

### საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

### საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი ____________________
გვარი ____________________
ასაკი ____________________
პროფესია ____________________
მისამართი ____________________

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსროლა აკოლაშვილმა!

28 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
6 ტური

**კოლხა 80:104 შევარდენი**

I ტაიმი 29:57

კოლხა: თოდუა, ფენდერავა, კეიდია (6), ქვილითაია (13), უგრეხელიძე (19); არველაძე (4), ძიძიგური (10), ბერია (22), ბერიშვილი (6), ვაშაკიძე

შევარდენი: კაზანჯიანი (12), მაჭავარიანი (5), შ. გაგნიძე (16), აკოლაშვილი (48), ნუცუბიძე (15), ცაგარეიშვილი (8), ჩალი, ლვინეფაძე

მსაჯები: დავით აბაშიძე, ლაშა თოიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

„კოლხა“ — „შევარდენის“ მატჩი ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო. თუმცა რა გასაკვირია, ჩვენში თუ რაიმე მოწესრიგებულად და ინციდენტების გარეშე ჩატარდა, საოცარი სწორედ ეს გახლავთ. ყოველივე ამის მიზეზი კი მსაჯის, გია მოლოდინაშვილის ავადმყოფობა გახლდათ. ჩვენს ჩემპიონატს სულ ექვსი არბიტრი ემსახურება. აქედან ორი დისკვალიფიცირებულია და დამეთანხმებით, ოთხი მსაჯით ტურის ჩატარება მართლაც ძნელი საქმეა. კაცი თუ ავად გახდა, შეიძლება მატჩი გადაიდოს, ან სულაც ჩაიშალოს.

გუნდები კარგა ხანს მოთელვას გადიოდნენ, მსაჯი კი არ ჩანდა. „კოლხამ“ თამაშის იმედიც გადაიწურა და გასახდელს მიაშურა, ყველას ეგონა, მატჩი გადაიდებოდა. განაწყენებული ფედერაციის გენერალური მდივანი აკაკი მეგრელაძე აღშფოთებას ვერ მალავდა, მაგრამ ორგანიზაციული საკითხები ხომ სწორედ ფედერაციის მოსაგვარებელია. ურიგო არ იქნება, თუ საშუალება გამოინახება და მსაჯთა პრობლემა მაინც გადაიჭრება.

ახლა კი მატჩზე.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო — შეხვედრის გვიან დაწყებამ კალათბურთელებს თამაშის სურვილი გაუათმაგა და მატჩის დებიუტი მართლაც მშვენიერი სანახავი გამოდგა. პირველი შეტევა კოლხელებმა წამოიწყეს და პირველივე წუთზე ანგარიშიც გახსნეს, რასაც შევარდნელი კაზანჯიანის ფარქვეშ მშვენიერი შესვლა და ორი ქულა მოჰყვა. „კოლხა“ ძირითადად სიმაღლეში უპირატესობის გამოყენებას ლამობდა, მცველების თითქმის ყველა პასი ცენტრის, უგრეხელიძისათვის იყო განკუთვნილი. „შევარდენმა“, შესაბამისად, ზონურ დაცვას მიმართა და შედეგიანადაც, — გააზრებულმა ზონამ ტანმაღალი კოლხები გააუვნებელყო და ანგარიშიც მესამე წუთიდან უკვე „შევარდენის“ სასარგებლოდ იყო. პირველი ტაიმის მეხუთე წუთზე აკოლაშვილის სამქულიანით „შევარდენმა“ 7-ქულიან უპირატესობას მიაღწია. „კოლხას“ მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ რეალურად შეაფასა სიტუაცია და მოედანზე წინა მატჩებში ხუთეულის მოთამაშეები — ბერია და ბერიშვილი შემოიყვანა, თუმცა ამაოდ. შევარდნელებს მართლაც კარგი დღე გაუთენდათ, მათი ნასროლი სამქულიანების უმეტესობა მიზანს აღწევდა და ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა იზრდებოდა. მეცამეტე წუთზე „შევარდენმა“ 17 ქულით ჩამოიტოვა მეტოქე. მაყურებელი ელოდა, რომ სოხუმელები თამაშში გარდატეხას შეიტანდნენ, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ახალგაზრდა შევარდნელი დავით აკოლაშვილი, რომელიც თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო. მან პირველ ნახევარში 26 ქულა დააგროვა, რაც მთელი გუნდის მონაგარის თითქმის ნახევარი იყო. პირველ ტაიმში თბილისელებმა აშკარად დაჩაგრეს „კოლხა“ და შესვენებაზე 28-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ.

მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა, მეორე ნახევარში „კოლხა“ საბრძოლველად გამოვიდა მოედანზე. გულშემატკივარი მატჩის გამწვავებას ელოდა და ასეც მოხდა. „კოლხამ“ პრესინგს მიმართა, რამაც შედეგი გამოიღო — ანგარიშში სხვაობა მეორე ნახევრის მეოთხე წუთზე ოც ქულამდე შემცირდა. ემოციური ვაჟა კვარაცხელია ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს, რათა ოპტიმალური ხუთეული შეერჩია, მაგრამ „შევარდენი“ მატჩის სადავეების ხელიდან გაშვებას არ აპირებდა, მიუხედავად ქვილითაიას, აბულაძის, ბერიას თავგანწირული თამაშისა.

ის-ის იყო, თითქოს გადაურჩა „კოლხა“ დიდი ანგარიშით დამარცხებას და ისევ აკოლაშვილის დროული სამქულიანი სროლა. კაზანჯიანიც განაგრძობდა ლამაზ გარღვევებს. ქების ღირსია ნუცუბიძე, რომელიც მშვენივრად ირჯებოდა უგრეხელიძის წინააღმდეგ. მეორე ტაიმის მეორე ნახევარი კი „კოლხამ“ მთლიანად დათმო. აკოლაშვილი გუნდს ნამდვილ ლიდერად მოევლინა. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა ბიჭი ერთ მატჩში 48 ქულას აკეთებს. დათომ გუშინ აზოტელ ბაბიაშვილსაც აჯობა, რომელიც 44 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო დინამოელებთან შეხვედრისას.

ასე რომ, გუშინ „შევარდენმა“ ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

**ზურაბ გონაშვილი**



„კოლხას“ დავით უგრეხელიძის (მარჯვნივ) იმედი კი ჰქონდა, მაგრამ შევარდენელებმა დათოს გასაქანი არ მისცეს

ზურაბ ჯაჯანაშვილის ფოტო



მამუკა აბრამიძის ჩვეულად გააზრებულმა შეტევებმა „მაკაბი“ საბოლოოდ გატეხა

# ვითამ ცოტა ინერვიულა

28 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
6 ტური

**ვითა 90:85 მაკაბი**

I ტაიმი 42:39

ვითა: ვაშაკიძე (6), აბრამიძე (9), კოკოლიშვილი, ორმოცაძე (14), მუშკუდიანი (8); დავითულიანი (19), გ. გაგნიძე (11), კორძაძე (4), ახალკაცი (4), ჩუბინიძე (2), ტურაშვილი (13)

მაკაბი: ბერიშვილი (10), ანდღულაძე (18), პაპასკირი (8), ტალაბაძე (17), ფერიაშვილი (24); ნაცვლიშვილი (8)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ლაშა თოიძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

ექვსგზის ჩემპიონებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. ასე რომ, ზედიზედ ოთხი მოგება დაუგროვდათ, რითაც საბოლოოდ გაიქარწყლეს პირველობის სტარტზე ნავწნევი წყენა. მართალია, ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში ნაჩვევ ადგილზე ვერ მოკალათდნენ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვითა“ მუდამ მიზანმიმართული და ამბიციური გუნდია და მათი კარგი თამაშიც შემდგომი წინსვლის წინაპირობაა.

იმარჯვესო, კი ვქთვით, მაგრამ ნურავის ეგონება, რომ ვითელებმა ეს ადვილად მოახერხეს. მათ მოსალოდნელზე გაცილებით მეტი ინერვიულეს, რაშიც მთავარი „დამნაშავე“ პირველ რიგში „ვითას“ გუშინდელი მეტოქე გახლდათ.

„მაკაბი“ კაცურად დაუდგა მრისხანე მოწინააღმდეგეს, უფრო მეტიც, ტოლი არაფერში დაუდო და მათზეც მხოლოდ საქებარი ითქმის. მართალია, საბოლოო ჯამში მაინც დამარცხდნენ და მოუგებელ სერიათა რიცხვიც ექვსამდე გაზარდეს, მაგრამ ასეთი თამაშით მაკაბელები ბევრს გაამწარებენ და მერწმუნეთ, მათ რომ ეს ფეხა აქამდეც გამოეჩინათ, ზემოთ უარყოფითი ბალანსის ხსენება ნამდვილად არ დაგვჭირდებოდა.

მოკლედ, რომ გვეგონა „ვითა“ კვლავინდებურად გაისეირნებდა და დასაწყისშივე ჩემპიონური რიხით ეკვეთებოდა „მაკაბის“, არც მთლად მასე ყოფილა საქმე. მეტოქემ კი დაამტკიცა, რომ ბრძოლა ნებისმიერთან ძალუძს და გამარჯვება რომ ჯერაც არ დაუგემოვნებია, ოდენ დროის ამბავია და მეტი არაფერი.

თუმცა ერთიცაა, ჩვენი აზრით, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი: უძლეველ „ვითასთან“ ჭიდილში მაკაბელი კალათბურთელები არანაირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ განიცდიდნენ. დამარცხებისთვის მათ არავინ დაძრახავდა და, რასაკვირველია, ისინიც თავს უფლებას აძლევდნენ, უფრო ლაღად ემოქმედათ.

ახლა დროა, თავად მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ, რომელიც, თავშიც ვთქვით, საინტერესო გამოდგა, მაგრამ არა დაძაბული.

ანგარიში ტალაბაძის 3-იანით გაიხსნა, რასაც ვითელმა ორმოცაძემ ორი პერსონალურით უპასუხა. შემდეგ ერთხანს ქაოსური ბურთაობა გაჩაღდა, რაც მოთამაშეთა ხშირ შეცდომებში გამოიხატა. ეს უფრო ჩემპიონებზე ითქმის, რამეთუ მათ საწყის წუთებში „მაკაბის“ ზონურ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს და როცა ბერიშვილმაც ტალაბაძის დარად 3-იანი ჩააგდო, ემოციებმოზღვავებულმა ტომარაძემ შეგირდები წუთშესვენებაზე იხმო. უკმაყოფილება „ვითას“ გამწვრთნელმა ერთი ორიგინალური ჟესტითაც გამოხატა, როცა სასტარტო ხუთეულის მთლიანი შემადგენლობა სათადარიგოებში გაისტუმრა და მათ ნაცვლად ახლა სხვებს დაეყრდნო.

ასეთივე ხერხს ტომარაძემ შემდგომაც მიმართა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ იგი აშკარად არ იყო კმაყოფილი. მეტოქის უყურადღებობით „მაკაბიმ“ კი იხეირა, მაგრამ როცა ვითელებმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, უპირატესობაც მათკენ გადაიხარა. დავითულიანის გარღვევას ტურაშვილი 3-იანითაც შეეწია და ტაიმის შუაწელისთვის ვაშაკიძის სიზუსტით წინაც გავიდნენ 15:14.

მაკაბელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დაბნეულან. ლიდერობა კი ფერიაშვილმა და ტალაბაძემ ითავეს. სწორედ მათი „წყალობით“ „ვითა“ სოლიდ... რად ვერ დაწინაურდა და ტაიმის ბოლ... მდეც ტაბლოზე უმეტესად საყაიმო ანგ... რიში კიაფობდა. თუმცა სანამ გუნდ... შესვენებაზე წავიდოდნენ, დავითულიან... მეტისმეტად გააქტიურდა. „მაკაბისთან“ „ძმურად გაყრა“ ვერაფრით აიტანა და მი... ძალისხმევით ჩემპიონებმა მეორე ნახევ... რი 3 ქულიანი უპირატესობით დაიწყ...

ვითელების მხრიდან კვლავაც ალე... აქტიურობდა და გუნდის უკანასკნელი... ქულა სწორედ მისი იყო. თითქოს „მაკ... ბიც“ საბოლოოდ უნდა გამტყდარიყო, მ... გრამ აქ მთელი ძალით ამოქმედდა მ... ლხაზ ანდღულაძე და სწორედ მისი მე... დინეობით კიდევ კარგა ხანს სდიეს მ... წინააღმდეგეს.

მატჩში გარდატეხა „ვითამ“ მოახდი... თამაშის დასრულებამდე ათი წუთიღა რჩ... ბოდა, როცა მათ საფრთხე იგუმანეს, — არიქა, ეს ჯაფა წყალში არ ჩაგვეყაროს... და გაფთრებით გაილაშქრეს „მაკაბის“ ფა... რზე. აბრამიძისა და ტურაშვილის გაა... რებულ ქმედებას საწინააღმდეგო მხარე... მობურთალმა უკანხაზელებმა ვერაფერი და... უპირისპირეს. „ვითასაც“ მეტი რა უნდო... და 10 ქულით „გაიქცა“, რაც „მაკაბიმ“ ვე... ღარაფრით გაქვითა და, ალბათ, მეტიც არა... ფერი მოხდებოდა, მერაბ ნაცვლიშვილ... რომ არ გამოედო თავი. იმდენი ქნა, რომ... უკვე გულარხეინად მოთამაშე „ვითა“ კი... დევ ერთხელ შეაფუცხუნა, როცა მსაჯი... სასტვენამდე 40 წამით ადრე ანგარიშში... სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა.

თუმცა საპასუხო შეტევა „ვითამ“ აუ... ღელვებლად განავითარა და მას შემდეგ... რაც მუშკუდიანმა ეფექტურად „ჩატენა“... ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

**გიორგი ბიძაშვილი**

## გაფიცვა გრძელდება

სამშაბათს, ნიუ იორკში მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდნენ ნბა-ს მეპატრონეთა წარმომადგენლები და გაფიცულ კალათბურთელთა ლიდერები. შეხვედრამ ოთხ საათს გასტანა და ბევრი ვერაფერი გაარკვია. მოლაპარაკება ამ კვირაში უნდა გაგრძელდეს.

მოთამაშენი და მეპატრონენი კვლავ ვერ შეთანხმებულან სახელფასო ნიხრებზე, ამით გამოწვეული ლოკაუტი კი 120 დღეა გრძელდება.

„ვშიშობ, რომ ჩვენს ურთიერთობებში იმედისმომცემი ბევრი არაფერია, მაგრამ მოლაპარაკება ყოველთვის უკეთესია, ვიდრე გაბუტვა“, — თქვა ნბა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფრი მიშკინმა.

მოთამაშეთა პროფკავშირის ერთ-ერთი ლიდერი ბილი ჰანტერი კი აცხადებს, რომ მოწინააღმდეგე მხარეები მძიმედ უახლოვდებიან შეთანხმებას, თუმცა ლოკაუტის შეწყვეტა გარდაუვალია. ჰანტერმა ისიც თქვა, არა მგონია საქმე ამ კვირაში მოგვარდესო. დავის მთავარი საკითხი ერთია — ნბა მტკიცედ მოითხოვს, რომ კალათბურთელებმა სალიგო შემოსავლის 48 პროცენტი იკმარონ და ამით გასული სეზონის შემოსავალი 9 პროცენტით შეიმცირონ.

„ეს ამბავი კლუბების მეპატრონეების ატეხლია“ — განაცხადა ჰანტერმა.

ნბა-ს 52-წლიან ისტორიაში პირველი გაფიცვა კი გრძელდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ...ითხარი, ვინ არის შენი მეკარე...

27 ოქტომბერი

**ნეშვილი — ვანკუვერი 5:4**

2:1 2:1 1:2

...ესიე 4'56 (4); 1:1 დენიელსი 14'41 (1); 2:1 კრივოკრასოვი 16'43 (5); 3:1 ფიცჯერა-...ი 25'20 (1); 3:2 ოკუანი 33'05 (2); 4:2 ბრიუნეტი 36'53 (3); 4:3 მუკალტი 41'42 (3); ...4 ბერტუცი 42'26 (4); 5:4 კრივოკრასოვი 58'34 (6)

...ლ-ის დებიუტანტისთვის გამარჯვება თავისთავად დიდი მიღწევაა, ხოლო სერგეი ...ოკრასოვის (2+1) ჩინებული თამაში ნამდვილი სიურპრიზი გახლდათ. გასული ...ის ერთ-ერთმა საუკეთესო ჰოკეისტმა, რომლის ანგარიშზეც ბოლო 4 მატჩში 6 ...ი და 4 პასია, ამჯერადაც გამოიჩინა თავი. ვანკუვერელმა მარკ მესიემ 3 (1+2) ...ა დააგროვა.



...ნეშვილელებმა — ჯონ სლეინიმ (მარცხნივ) და ქოულ ბუშარმა ვანკუვერელი ბრედ მეი მოიმწყვდიეს

**რეინჯერსი — ბუფალო 0:0**

მას შემდეგ, რაც 1997 წლის 28 ნოემბერს უეინ გრეცკიმ ჰაშეკის კარი დალაშქრა, სახელოვანმა ჩეხმა თითქოსდა მოაჯადოვა რეინჯერსის მოთამაშეები. აგერ უკვე მეოთხე მატჩია, ბუფალოელთა კარი ნიუიორკელთათვის აუღებელია. ტრადიცია არც ამ შეხვედრაში დარღვეულა და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა სულ რაღაც 14-ჯერ დაარტყეს, ჰაშეკს მაინც დიდი ჯაფა დაადგა. სტუმრები სამჯერ მელმა იხსნა, მათგან ყველაზე სახიფათო ადამ გრეივზის დარტყმა იყო. ეს ჰაშეკის კარიერაში 35-ე „მშრალი", „რეინჯერი" მაიკ რიხტერისთვის კი, რომელმაც თავის მხრივ არაერთხელ იხსნა თავისიანები, ეს მე-19 მიღწევაა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მასპინძლებმა იღბლიანი სერია 5 მატჩამდე (+2=3-0) გაზარდეს.

**ფილადელფია — სენტ ლუისი 2:1**

1:1 1:0 0:0

0:1 ტარჯონი 4'16 (2); 1:1 ბრინდამორი 16'28 (4); 2:1 ფორბსი 20'28 (3)

ფილადელფიამ, პირველად სეზონში, მეტოქეზე ნაკლები დარტყმა განახორციელა და თავის წარმატებას მეკარე ჯონ ვანბისბრუკს (31 მოგერიება) უნდა უმადლოდეს.

**აილენდერსი — ლოს ანჯელესი 1:0**

0:0 0:0 1:0

1:0 საკო 42'01 (3)

ამ მატჩის მთავარი მოქმედი გმირნიც მეკარეები იყვნენ. მასპინძელმა ტომი სალომ (20 მოგერიება) სეზონში მე-3 „მშრალი" მიითვალა. სტუმარმა მენი ლეგარემაც ვაჟკაცურად იბრძოლა, მეტადრე პირველ 12 წუთში, როდესაც ნიუიორკელთა 14 დარტყმა მოიგერია.

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ორონტო | 8 | 5 | 1 | 2 | 26:21 | 11 |
| ...ონრეალი | 7 | 3 | 1 | 3 | 17:14 | 7 |
| ...სტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 15:14 | 7 |
| ...ავა | 6 | 3 | 0 | 3 | 17:16 | 6 |
| ...ფალო | 7 | 2 | 2 | 3 | 14:15 | 6 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...კუვერი | 8 | 4 | 0 | 4 | 23:19 | 8 |
| ...მონტონი | 7 | 3 | 0 | 4 | 21:19 | 6 |
| ...ლგარი | 7 | 2 | 1 | 4 | 19:25 | 5 |
| ...ლორადო | 7 | 1 | 1 | 5 | 17:29 | 3 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:11 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 8 | 3 | 2 | 3 | 17:18 | 8 |
| ფინიქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:12 | 7 |
| ანაჰაიმი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 5 |
| სან ხოსე | 6 | 0 | 2 | 4 | 10:18 | 2 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 7 | 5 | 0 | 2 | 21:12 | 10 |
| ჩიკაგო | 7 | 4 | 1 | 2 | 19:19 | 9 |
| სენტ ლუისი | 7 | 3 | 1 | 3 | 18:18 | 7 |
| ნეშვილი | 8 | 2 | 1 | 5 | 15:20 | 5 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 8 | 5 | 2 | 1 | 20:11 | 12 |
| აილენდერსი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:18 | 8 |
| პიტსბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 16:18 | 7 |
| რეინჯერსი | 9 | 2 | 3 | 4 | 15:13 | 7 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 3 | 0 | 3 | 12:13 | 6 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 8 |
| ფლორიდა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:11 | 7 |
| კაროლინა | 7 | 2 | 3 | 2 | 17:15 | 7 |
| ტამპა | 8 | 3 | 1 | 4 | 19:23 | 7 |

*...ომბარდირები: ლეკლერი (ფილადელფია) 11 (5+6); მესიე (ვანკუვერი), სუნდინი (ტორონტო) და საიდორი ...ლასი) 11 (4+7); იაგრი (პიტსბურგი) 11 (2+9); შენაჰანი (დეტროიტი) 10 (7+3); ლინდროსი (ფილადელფია) და ...ივოკრასოვი (ნეშვილი) 10 (6+4); საკიკი (კოლორადო) 10 (5+5); აიზერმანი (დეტროიტი) 10 (1+9)*



# თბილისმა კატეგორია დაიბრუნა

ამ შაბათ-კვირას თბილისი ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელსაც უმაღლესი, „ა" კატეგორიის წოდება დაუბრუნდა. წლევანდელ რიგით 26-ე მამაკაცთა ტურნირში იასპარეზებენ იაპონიის, ისრაელის, თურქეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს გუნდები. ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს ყაზახეთის, ბელარუსის, უკრაინისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებმა, თუმცა მათი მონაწილეობა ჯერ არ გადაწყვეტილა. ქალთა ტურნირი ნაკლებ წარმომადგენლობითია და მხოლოდ ისრაელის, თურქეთის, აზერბაიჯანის, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს გუნდებით შემოიფარგლება.

წლევანდელი ტურნირი ხარისხობრივი თვალსაზრისით აშკარად ჩამორჩება წინამორბედებს, რადგან არ იქნებიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების თუ ოლიმპიადის მედალოსნები. ასეთებს მხოლოდ გაისიდან ვიხილავთ, როცა თბილისურ შეჯიბრს სალიცენზიო ტურნირის სტატუსი მიენიჭება, რაც დროის საკითხია.

**ირაკლი თავაძე**



ჯონ კალენი

# კალენი ჩამოალაბორანტეს

სასწაულებრივი გამოჯანმრთელების შემდეგ ტამპას ცენტრფორვარდი ჯონ კალენი იმედით ელოდა ახალ სეზონს და უმძიმესი სენის მიუხედავად ჩვეულად თამაშს აპირებდა, მაგრამ ჩემპიონატი უკვე სამი კვირაა, დაიწყო, კალენს კი გუნება ვერ გამოუკეთდა: „მუდამ ის კაცი ვიყავი, რომელმაც იცოდა, რომ ყოველ სათამაშო დღეს ყინულზე გავიდოდა. ამიტომაა, რომ წლეულს ასე მიჭირს". ეს სრულიად გასაგებია — რამდენიმე გახმაურებულმა შენაძენმა ტამპა სოლიდურ გუნდად აქცია და კლუბის მთავარი პლეიმეიკერისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ მოიძებნა, მით უმეტეს, რომ კალენს სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ 1998 წლის დრაფტის პირველი ნომრის ვენსან ლეკავალიესა და დემიონ ლანგკოუს (მესამე სეზონი ლიგაში) სახით. მართალია, გამომჯობინებულ ჰოკეისტს მწვრთნელები სეზონის დასაწყისში ენდნენ, მაგრამ ოთხი უქულო მატჩის შემდეგ მას ახალგაზრდები ამჯობინეს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ლეკავალიემ ბოლო სამ მატჩში გოლი და პასი მიითვალა, ლენგკოუ კი წარმატებით ართმევს თავს მეტოქე გუნდების ლიდერთა გაუვნებელყოფას. და მაინც, ფორვარდი მომავლის იმედს არ კარგავდა, თუმცა სულ ტყუილად: ამ კვირის დამდეგს გაირკვა, რომ ტამპას კალენის დახმარება ჯერჯერობით აღარ სჭირდება და 34 წლის ჰოკეისტს იჰლ-ის კლუბ „კლივლენდ ლამბერჯეკსში" გადაბარგებამ მოუწია.

# ნიკოლიშინი საჭიროა!

...ბოლო დღეებში ვაშინგტონი ისეთმა ...სერიოზულმა საკადრო პრობლემამ შეაწუხა (ხუმრობა ხომ არაა — ძირითადი შემადგენლობის შვიდი მოთამაშე დაშავდა), რომ „კეპიტალსის" ხელმძღვანელობამ ცენტრფორვარდ ანდრეი ნიკოლიშინთან მოლაპარაკება არ დააყოვნა და გაიცულ ჰოკეისტთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნიკოლიშინმა, რომელიც ...უფრო მცველის ფუნქციის შესრულებითაა ცნობილი, პლეი ოფში პლეიმეიკერის თვისებები გამოავლინა, 14 (1+13) ქულა დააგროვა და კლუბის წამყვან სნაიპერსაც ერთობ დაეხმარა. დედაქალაქელებმა 1,9 მილიონი დოლარის საფასურად რუსი კი შეირიგეს, მაგრამ ფარმკლუბიდან ჰოკეისტების გამოძახება მაინც დასჭირდათ.



სარბიელის არქივიდან

# ნეკნები აღარ დაილეწება

მოგეხსენებათ, ჰოკეისტები ტრავმებს უმეტესწილად ბორტებთან შეჯახებისას იღებენ. ამიერიდან კი მათ ძალისმიერი ბრძოლა გაუადვილდებათ, რადგან მონრეალის, კალგარისა და ნიუ იორკ აილენდერსის „ნასაუ კოლიზეუმში" ახალ, უფრო დრეკად ბორტებს დაამონტაჟებენ. ამ სიახლის უპირატესობა ის გახლავთ, რომ 4-ფუტიანი ბორტები სამი დუიმით იდრიკება და შეჯახების ძალას შთანთქავს, ხოლო 8-ფუტიანი შუშები მყარადაა დამაგრებული ბორტებზე და მათთან ერთად მოძრაობს.

კალგარის ერთ-ერთი მწვრთნელის ტერი კეინის თქმით, ასეთი ბორტები უთუოდ დაიცავს მოთამაშეებს ტრავმებისგან.

**სამველ ღარიბიანი**

# შემოვძახოთ „გაუდეამუს იგიტურ"...

ჩვენს ქვეყანაში დალხენილი ვინ არის, რომ მუდამჟამ ჯიბეგაფხეკილი სტუდენტობა იყოს. მით უმეტეს დღეს, როცა საყოველთაო გაჭირვებაა. ამიტომ ძალზე გაიხარა საქართველოს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის 8 სტუდენტმა, როცა მათ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტიპენდიები დაენიშნათ. იქნებ 50-50 ლარი ბევრი არაფერია, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ეს ფრიად სოლიდურად გვესახება, სტუდენტის სტიპენდიის კვალობაზე.

სეოკ-ის სტიპენდიანტები გახდნენ: გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის მესამე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, თავისი ინსტიტუტისა და შიდა ქართლის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტანი დავით იაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში რუსუდან გოლეთიანი, ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მესამეკურსელი, სამბისტი მიხეილ ჩხეიძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ედუარდ ბოჭორიშვილი, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხეკურსელი, სტუდენტთა მსოფლიო პირველობის ოქროსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გენადი ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი, ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი ნადირაშვილი, იმავე აკადემიის მეოთხეკურსელი, ჩოგბურთში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ქეთინო გონაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი ზვიად მიქაძე.

გუშინ მათ სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა მიულოცა ამ ორგანიზაციის პირველი სტიპენდიანტობა და ფულთან ერთად დაასაჩუქრა ნოდარ გუგუშვილის „ოლიმპიური ენციკლოპედიით" და სხვა ოლიმპიური ლიტერატურით. იმავე დროს მოუწოდა, კარგად გაეცანით ამ ლიტერატურას, შეისწავლეთ და სხვასაც გადაეცით თქვენი ცოდნაო.

— ეს იდეა ჩვენთან დაიბადა და სექტემბერში სეოკ-ის აღმასკომზე გადაწყდა კიდეც მისი განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეოკ-ი, მგონი, ყველაზე გაჭირვებულია — გვეუბნება სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი — სასტიპენდიო სტუდენტები თავად უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა შეარჩიეს, ოღონდ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე. სტუდენტი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო კარგი მოსწავლე, რომელიც მჭიდროდ არც სპორტთან იქნებოდა და, რაც მთავარია, ოლიმპიზმთან. ოლიმპიზმი ხომ მრავლისმომცველი ცნებაა. იგი შეიცავს როგორც სპორტს, ისე სწავლა-განათლებას, კულტურას და სხვა მრავალს. ჩვენი სტიპენდიები, რომლის მსგავსი, თუ არ ვცდები, მთელს მსოფლიოში არავის დაუწესებია, ხელს შეუწყობს ოლიმპიზმის პროპაგანდას და თავად სტუდენტთა ბიუჯეტს გარკვეულ შეღავათს გაუწევს.

ასე რომ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რვა აღსაზრდელმა იმ დღეს ალბათ გაიხარა და იქნებ სტუდენტური ჰიმნი „გაუდეამუს იგიტურ" შემოსძახა...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჩოგბურთი

# გერმანული დღე

**შტუტგარტი. გერმანია. Eurocard Open. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2,45 მილიონი $**

სეზონის ბოლოსწინა მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირს კლასიფიკაციის პირველი ადგილისთვის გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. სწორედ ამიტომაა, გასულ კვირაში მიღებული ტრავმების გართულების საფრთხის მიუხედავად, შტუტგარტს პირველობის სამივე ძირითადი პრეტენდენტი — პიტ სამპრასი (ნატკენი ზურგით), მარსელო რიოსი (დაჭიმული ბარძაყის კუნთით) და პატრიკ რაფტერი (ტრავმირებული მუხლით) ეწვია. თუმცა რაკილა თექვსმეტივე განთესილი პირველი წრის მატჩებიდან განთავისუფლებული იყო, ესოდენ საჭირო დასვენების ზედმეტი დღე სამივემ მიიღო.



ბორის ბეკერი და ანდრე აგასი

REUTERS ფოტოარქივიდან

ფავორიტების არყოფნაში ორშაბათ-სამშაბათს მასპინძელთა ყურადღება, ბუნებრივია, გერმანელი ჩოგბურთელებისკენ იყო მიპყრობილი.

შტუტგარტში ივლისიდან მოყოლებული, თავისი ოდენ მეორე მატჩი გამართა გერმანელთა უპირველესმა სპორტულმა კერპმა — ბორის ბეკერმა. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ამერიკის ჰარდის სეზონი თავად გამოტოვა, აგვისტოში კი კოჭის ტრავმა მიიღო და ასპარეზობას სამი კვირის წინ, ბაზელშიღა დაუბრუნდა. აქაც პირველივე წრეში ტომას იოჰანსონთან დამარცხდა, მერე კი ვენის ტურნირის „უაილდ ქარდი" პიტ სამპრასს გადაულოცა: „მინდოდა, გაცილებით მეტი მეთამაშა, მაგრამ ეს ძალიან მძიმე აღმოჩნდა — ცალკე კუნთები აღარ მუშაობდა, ცალკე კოჭი მაწუხებდა. აქაც რომ ვერ მეასპარეზა, ნაღდად პენსიაზე გავიდოდი".

ამჟამად კლასიფიკაციით 67-ე გერმანელის მეტოქე მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი ჰოლანდიელი სხენგ შალკენი იყო. პირველი სეტის ასე თუ ისე იოლად მოგების შემდეგ მეორეში ბეკერს გვარიანად გაუჭირდა — შალკენი საკუთარი მოწოდების წაგებას რამდენჯერმე 0:40-დან დაუძვრა და მატჩის უკანასკნელ გეიმში ექვსი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა, თუმცა 6000 მაყურებლის გასახარად მეშვიდეზე ბურთი უკანა ხაზს გადააცილა.

„უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს იმის კეთება, რაც ნამდვილად მიყვარს და ვიმედოვნებ, ამას კიდევ რამდენჯერმე მაინც მოვახერხებ. მიხარია, რომ ისევ შემიძლია ხეირიანად თამაში — განაცხადა მატჩის შემდეგ ბეკერმა, რომელსაც მეორე წრეში გაცილებით რთული მეტოქე, როლან გაროსის ჩემპიონი კარლოს მოია ელის — საკუთარი კლასიფიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მაშინ, როცა წელიწადში 10 ტურნირზე მონაწილეობ, სისულელეა. ჩემთვის მთავარი ის არის, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებს შევხვდე, ისეთს, როგორიც, ვთქვათ, მოიაა. ადრე თუ გვიან მომიწევს, ყველაფერ ამას თავი დავანებო, მაგრამ სანამ სიამოვნებას ვღებულობ, ვერ ვხედავ შეჩერების მიზეზს".

ცოტაოდენით მეტი სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ბორისი იმავე საღამოს ანდრე აგასისაც შეუწყვილდა, კარიერაში მეორედ. თუმცა პირველი მცდელობის მსგავსად, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნების დუეტი ამჯერადაც წარუმატებელი გამოდგა — სახელოვან მეტოქეებს კანადელი სებასტიან ლაროსა და ამერიკელი ალექს ობრაიენის კარგად შეთამაშებულმა წყვილმა 6:4, 4:6, 6:4 აჯობა.

თანამემამულეები ბეკერზე გაცილებით მეტად მისმა ერთ-ერთმა მემკვიდრემ, გერმანიის ამჟამინდელმა პირველმა ჩოგანმა, ნიკოლას კიფერმა ანერვიულა. 21 წლის „კივი" ზიმბაბველ ბაირონ ბლექთან პირველი სეტის წაგების მერე მეორეშიც 1:4 ჩამორჩა, მაგრამ უდიდესი ძალისხმევის ფასად მეტოქეს ორჯერ აართვა მოწოდება და ტაი-ბრეიკზე ანგარიში გაუთანაბრა. თითქოს ეს საკმარისი არ იყო, კიფერი გადამწყვეტ პარტიაში სულაც 1:5-დან აღდგა მკვდრეთით, ხუთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და აქაც ტაი-ბრეიკამდე მიატანა, სადაც ერთდროულად გაოცებულ და ნერვებმოშლილ ბლექს არც ერთი ქულა აღარ დაანება 4:6, 7:6 (7:5), 7:6 (7:0).

„დღეს ძალიან გამიჭირდა და ერთი ხანობა გამარჯვების იმედიც გამიქრა, მაგრამ მაყურებლების ქომაგობამ შეუძლებელი შემაძლებინა. ისე, მე თუ მკითხავთ, თმების თეთრად შეღებვის დროს უფრო ვიწვალე — დალაქი სათნახევარი მამუშავებდა" — განაცხადა კიფერმა, რომელსაც მეორე წრეში თვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი ელის.

მეთექვსმეტედფინალში გავიდა გერმანიის დევისის თასის გუნდის მეორე ახალგაზრდა წევრი — ტომი ჰაასიც, რომელმაც ტრავმირებული ნიკოლა ესკუდეს ნაცვლად ტურნირზე დაშვებულ „იღბლიან წაგებულს", სამხრეთაფრიკელ დევიდ ნეინკინს მოუგო 6:4, 6:4. თუმცა იოლი მეტოქე არც ჰაასს ეყოლება — მას მარსელო რიოსი უნდა შეხვდეს. შეგახსენებთ, რომ რიოსმა შაბათს სწორედ 20 წლის გერმანელთან თამაშისას მიიღო ტრავმა, რამაც აიძულა, მატჩისთვის თავი დაენებებინა. „მაშინ ძალიან კარგად ვთამაშობდი. თუ ამჯერადაც მოვახერხებ ისევე გარჯას, ჩემი შანსები არცთუ მცირე უნდა იყოს" — არ შეშინებია მეტოქისა ჰაასს.

გასულ უქმეებზე დაწყებულ ტრავმათა ეპიდემიას ვერც შტუტგარტი გადაურჩა. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ბოლო წუთს თამაშზე უარის თქმა ესკუდეს გარდა კიდევ ორ ჩოგბურთელს — 18 წლის რუს მარატ საფინსა და ფრანგ სედრიკ პიოლინს მოუხდათ.

წლეულს ათასგვარი ტრავმებით შეჭირვებული მაიკლ ჩანგს კი დიდი ხეირი არც „ძველი იარების მოშუშებამ დააყარა. ჩინური წარმოშობის მერიკელმა პირველ წრეში სათვალიან ფრანგ გიიომ რაუქსთან წააგო 6:7 (5:7), 3:6 და 1991 წლის შემდეგ, პირველად დარჩა სეზონის ბოლოსთვის საუკეთესოთა ათეულის მიღმა.

**პირველი წრე: მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 5:7, 6:2; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:2, 3:6, 7:5; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:5), 3:6, 6:4; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 5:7, 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — სებასტიან ლარო (კანადა) 6:3, 6:3; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:3; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 2:6, 7:6 (7:4).**

**ავთანდილ სვანიძე**

## სეზონის ლიდერები

ჩოგბურთის პროფესიონალთა ასოციაცია (ATP) წელიწადში რამდენჯერმე აქვეყნებს ხოლმე თამაშის ამა თუ იმ კომპონენტში, სხვადასხვა საფარზე თუ საერთო მაჩვენებლებით თავგამოჩენილ მოთამაშეთა ნუსხას. ეს სიები, როგორც წესი, საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ქმნის ჩოგბურთელთა მიღწევებზე, თუმცა ამავდროულად ერთი ნაკლიც ახასიათებს — შეფასების კრიტერიუმად პროცენტული მაჩვენებლებია მიჩნეული, რაც მასში მოხვედრის შანსს ისეთ ბედოვლათებსაც აძლევს, როგორიც, ვთქვათ, ვინმე ტაკაო სუძუკია — ამას თავისი თითო-ოროლა გამარჯვება დევისის თასზე აქვს მოპოვებული.

საერთო მაჩვენებელი

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მარსელო რიოსი | 62 | 14 | .816 |
| ანდრე აგასი | 65 | 15 | .813 |
| პიტ სამპრასი | 51 | 13 | .797 |
| ალექს კორეტხა | 52 | 17 | .754 |
| პატრიკ რაფტერი | 58 | 19 | .753 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 40 | 14 | .741 |
| ტომას ენკვისტი | 36 | 13 | .735 |
| ტაკაო სუძუკი | 5 | 2 | .714 |
| მაიკლ ჩანგი | 35 | 15 | .700 |
| კაროლ კუჩერა | 52 | 23 | .693 |

თიხნარი

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ტაკაო სუძუკი | 2 | 0 | 1.000 |
| მარსელო რიოსი | 21 | 4 | .840 |
| ალბერტ კოსტა | 34 | 8 | .810 |
| ალექს კორეტხა | 27 | 8 | .771 |
| კარლოს მოია | 32 | 10 | .762 |
| პიტ სამპრასი | 9 | 3 | .750 |
| რამონ დელგადო | 11 | 4 | .733 |
| გუსტავო კუერტენი | 25 | 10 | .714 |
| მარიანო პუერტა | 15 | 6 | .714 |
| ბორის ბეკერი | 10 | 4 | .714 |

ჰარდი

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| პატრიკ რაფტერი | 41 | 8 | .837 |
| მარსელო რიოსი | 36 | 7 | .837 |
| ანდრე აგასი | 50 | 10 | .833 |
| კაროლ კუჩერა | 26 | 7 | .788 |
| ტომას ენკვისტი | 21 | 6 | .778 |
| პიტ სამპრასი | 27 | 8 | .771 |
| გრეგ რუზეცკი | 27 | 8 | .771 |
| ალექს კორეტხა | 20 | 6 | .769 |
| მაიკლ ჩანგი | 24 | 8 | .750 |
| პეტერ კორდა | 21 | 8 | .724 |

ღია ცის ქვეშ

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მარსელო რიოსი | 46 | 12 | .793 |
| ანდრე აგასი | 48 | 13 | .787 |
| პატრიკ რაფტერი | 45 | 13 | .776 |
| პიტ სამპრასი | 35 | 11 | .761 |
| ალექს კორეტხა | 47 | 16 | .746 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 28 | 10 | .737 |
| ალბერტ კოსტა | 47 | 19 | .712 |
| მაიკლ ჩანგი | 28 | 12 | .700 |
| ტომას ენკვისტი | 21 | 9 | .700 |
| პეტერ კორდა | 30 | 13 | .698 |

ბალახი

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| პიტ სამპრასი | 8 | 1 | .889 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 9 | 2 | .818 |
| ბაირონ ბლექი | 12 | 3 | .800 |
| იონას ბიორკმანი | 8 | 2 | .800 |
| გორან ივანიშევიჩი | 8 | 2 | .800 |
| დავიდე სანგვინეტი | 4 | 1 | .800 |
| ტიმ ჰენმანი | 7 | 2 | .778 |
| სკოტ დრეიპერი | 10 | 3 | .769 |
| უეინ ფერერა | 3 | 1 | .750 |
| ფრანსისკო კლავეტი | 3 | 1 | .750 |

დარბაზი

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ტაკაო სუძუკი | 2 | 0 | 1.000 |
| ანდრე აგასი | 17 | 2 | .895 |
| პიტ სამპრასი | 16 | 2 | .889 |
| მარსელო რიოსი | 16 | 2 | .889 |
| ალექს კორეტხა | 5 | 1 | .833 |
| ტომას ენკვისტი | 15 | 4 | .789 |
| გრეგ რუზეცკი | 22 | 6 | .786 |
| რიჩარდ კრაიჩეკი | 12 | 4 | .750 |
| იან სიმერინკი | 20 | 7 | .741 |
| მარკ ვუდფორდი | 8 | 3 | .727 |

ფეხბურთი

## ესპანეთი

თასის მეორე წრე. პირველი მატჩები

ლევანტე 0:0 ესტრემადურა
სევილია 0:0 სალამანკა
რეიესი 2:0 ტენერიფე
სპორტინგი 1:1 სარაგოსა
მალაგა 1:2 ვალიადოლიდი
ლას პალმასი 0:0 ალავესი
ტალავერა 0:1 ვილიარეალი
ნუმანსია 0:1 რასინგი
ხერესი 1:3 დეპორტივო
ბადახოსი 3:1 ოვიედო
ლეიდა 1:1 ოსასუნა
ბეასაინი 0:0 ბენიდორმი

## გერმანია

თასის მერვედფინალი

დუისბურგი 2:4 ბაიერნი
ბერლინი 4:2 ჰერტა
ვერდერი 3:2 დიუსელდორფი
ზიგენი — ურდინგენი
3 ნოემბერს გაიმართება

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

დანდი 1:0 დანფერმლაინი
მოზერველი 1:0 რეინჯერსი

## ავსტრია

XIV ტური

აუსტრია 1:1 ლუსტენაუ
შტაირი 0:3 რიდი
შტურმი 2:0 ზალცბურგი
ტიროლი 1:1 გრაცერი

## ინგლისი

ლიგის თასი. მეთექვსმეტედფინალი

მიდლსბრო 1:1 (2:3დ.დ.) ევერტონი
დერბი 1:2 არსენალი
ძრიუ 0:1 ბლეკბერნი
ლიდსი 1:0 ბრედფორდი
ბირმინგემი 1:2 უიმბლდონი
მანჩესტერი 0:0 (2:0დ.დ.) ბერ[illegible]
ჩელსი 4:1 ასტონ ვილა

## იტალია

მერვედფინალი. პირველი მატჩები

სამპდორია 0:0 ბოლონია
ფიორენტინა 1:0 ლეჩე
ატალანტა 1:1 რომა
უდინეზე 0:0 ვიჩენცა
ბარი 1:2 პარმა
ინტერი 1:0 დი სანგრო

## ჰოლანდია

ჰოლანდიის თასი

დევენტერი 3:2 გრააფსხაპ[illegible]
ტილბურგი 0:2 ცვოლე
აიაქსი 9:0 უდი 19

გრონინგენი — ტონეგიდო, ემენი — ჰე[illegible]ნვენი, ექსელსიორი — ეინდჰოვენი, ჰე[illegible] კლუბი — ბრედა და უტრეხტი — ნაიმეგენი გადაიდო

რაგბი

# ბათუმური პლეი ოფი?

რაგბის მოყვარულებს, ალბათ, გემახსოვრებათ ჩვენი მრავალგზისი ნაამბობი, ეროვნული პირველობის ერთრაუნდიანი ნახევარფინალი ცხრილში უკეთეს ადგილზე მყოფი გუნდის მოედანზე ჩატარდებაო. ერთი ნახევარფინალის მასპინძლის ვინაობა ცნობილია — ეს „ყოჩები" გახლავთ. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, სად გაიმართებოდა მეორე ნახევარფინალი — ბათუმსა თუ თბილისში. ეს უახლოეს ხანს „დათვებისა" და „ექსპრესის" დაპირისპირებას უნდა გაერკვია, მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, შეიძლება ორივე ნახევარფინალი და ფინალიც ბათუმში გაიმართოს. როგორც აღმოჩნდა, ზღვისპირელებს წინადადებით მიუმართავთ რაგბის კავშირისთვის, პლეი ოფები ჩვენთან ჩავატაროთო და თან პრიზიორებს ფულად გასამრჯელოსაც შეპირებიან. ამავე დროს მასპინძლები გუნდების მგზავრობისა და დაბინავების ხარჯებსაც თავად კისრულობენ.

როგორ გადაწყდება საკითხი, ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით კავშირის ხელმძღვანელობა კლუბების ხელმძღვანელებთან ერთად იხილავს ბათუმელთა წინადადებას და საბოლოო სიტყვას კვირის ბოლოს იტყვის.

**ბაატა თოთაძე**

ევროთასი

# ფრანგული აქცენტი

მორაგბეთა ევროთასის მე-5 ტურის მატჩები ამ უქმეებზე ჩატარდება. D ჯგუფში კი ერთი მატჩი უკვე გაიმართა. ფრანგულმა „კოლომიემ" იტალიურ „ტრევიზოს" უმასპინძლა. ისევე როგორც იტალიაში, ამჯერადაც ფრანგებმა იმარჯვეს და სტუმრები 41:7 დაამარცხეს. ამ მოგებით „კოლომიე" მესამე გუნდი გახდა, ვინაც მეოთხედფინალში თამაში ვადამდე გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ პირველი ორი მეოთხედფინალისტიც ფრანგული კლუბები — „სტად ფრანსე" და „პერპინიანი" არიან, რომლებიც ოთხი ტურის შემდეგ ქულის დაუკარგავად ლიდერობენ თავიანთ ჯგუფებს.

D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლომიე | 5 | 4 | 0 | 1 | 159:94 | 8 |
| პონტიპრიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 106:107 | 4 |
| ტრევიზო | 5 | 2 | 0 | 3 | 109:131 | 4 |
| გლაზგო | 4 | 1 | 0 | 3 | 94:136 | 2 |


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ბაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოლუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაკიტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო ღუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29